საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 14 დეკემბერი, 2012 წელი.

№240 (7116)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვები სიფცვაა, ფცუილებით და ჭიჩებით ბუნების გაფანა ყველა უკარისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ალტერნატიული სტრატეგიები,

ანუ ისე დაბრუნდა ბებიაჩემი ანეტა...

3

„ლეღვის ფოთოლი“ დასავლეთისთვის

5

სად გაქრა მერიის სარეზერვო ფონდიდან 11 მილიონი ლარი?

2

8

ულტიმატუმებს ბოლოტნაიაზე გივი თარგამაძე ხელმძღვანელობდა

სქელშუბლიანნი გადარჩნენ მხოლოდ!..

რატომ და რისთვის ჰყავდათ დაჭერილი სამი შვილის დედა?

6

ქობულეთელებს შანსი გაუჩნდათ

4

ქართული პროდუქცია - რუსულ ბაზარზე

7

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ვანდალიზმი

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი შეგლალეს

იერუსალიმის ჯვრის ტაძარში მომხდარ ვანდალიზმთან დაკავშირებით საქართველოში ისრაელის საელჩო ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუს განცხადებას ავრცელებს.

ბენიამინ ნეთანიაჰუმ მომხდარი კრიმინალური აქტი სასტიკად დაგმო.

— ებრაული ფასეულობები აბსოლუტურად ეწინააღმდეგება მსგავს ფაქტებს. აღმსარებლობის თავისუფლება ყოველთვის იქნება დაცული ისრაელის სახელმწიფოში, დამნაშავენი კანონის სრული სიმკაცრით დაისჯებიან. პოლიცია მოცემულ მომენტშიც ინტენსიურ გამოძიებას აწარმოებს, — აღნიშნულია განცხადებაში.

არსებული ინფორმაციით, უცნობმა პირებმა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედლებზე შეურაცხმყოფელი წარწერები დატოვეს. მათ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედლებზე და იქვე მდგარ რამდენიმე ავტომობილზე შეურაცხმყოფელი წარწერები გააკეთეს, რომლითაც იესო ქრისტეს უხამსად მოიხსენიებენ. ასევე, დააზიანეს ტაძრის ეზოში მდგარი რამდენიმე მანქანა, ერთ-ერთ მანქანაზე კი გაკეთებულია რელიგიური ნიშნის შეურაცხმყოფელი წარწერა.

ვანდალური აქტის შესახებ კონკრეტული დეტალები ქართული მხარისთვის უცნობია. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მარინა მიზანდარი აცხადებს, რომ ქართული მხარე დაუკავშირდება ისრაელის იმ უწყებას, რომელიც ტაძრის მოვლა-პატრონობაზეა პასუხისმგებელი.

საქმეზე გამოძიება იერუსალიმის პოლიციის ცენტრალურმა განყოფილებამ უკვე დაიწყო.

◎ პრეზიდენტის ორი თვითმფრინავი

მიშას ერთი ფრთა ჩამოატეხეს

საძართველოს პრეზიდენტს ერთი თვითმფრინავი ჩამოართვეს. როგორც „მაესტროს“ გადაცემა „პოლიტმეტრში“ საუბრისას თავდაცვის მინისტრის მრჩეველმა ვაკო ავალიანმა განაცხადა, თავდაცვის სამინისტრომ მეორე ბორტი პრეზიდენტისთვის ერთი წლის წინ, ლიზინგის წესით შეიძინა.

მისივე თქმით, თავდაცვის სამინისტროს ეს გადაწყვეტილება არ ნიშნავს, რომ პრეზიდენტი თვითმფრინავის გარეშე რჩება.

— ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოს პირველი პირი დავტოვეთ თვითმფრინავის გარეშე. პრეზიდენტს ჰყავდა ორი ბორტი. პირველი ბორტიც თავდაცვის სამინისტრომ იყიდა და საკმაოდ დიდი თანხა გადაიხადა. მეორე ბორტიც რომ დაგვეტოვებინა, ყოველთვიურად ქვეყანას უნდა გადაეხადა 850 000 ლარი, — განაცხადა ავალიანმა, რომლის ინფორმაციითაც, დაზოგილი თანხები ჯარის სოციალურ საჭიროებებს მოხმარდება.

— მეორე ბორტის ლიზინგის წესით შეძენა რატომ გახდა საჭირო, ჩვენთვის გაუგებარია, — დასძინა ავალიანმა.

ირაკლი ალასანიას თქმით, პრეზიდენტის თვითმფრინავის გასხვისების პროცედურა დაიწყო. ეს განცხადება გუშინ, ალასანიამ უცხოელ სტუმრებთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

— რაც იყო გაფორმებული და რის გადასახადსაც ვიხდიდით საქართველოს მოქალაქეები, ეს იყო დაახლოებით 800 ათასი ლარი. ეს კონტრაქტი, რომელიც არსებობდა, პრაქტიკულად შეწყდა და მიმდინარეობს ამ თვითმფრინავის გასხვისების პროცედურა, — განაცხადა ალასანიამ.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაცია, რომ პრეზიდენტს ორი თვითმფრინავი ჰყავს, სიმართლეს არ შეესაბამება, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერის მანანა მანჯგალაძის განცხადებაშია ნათქვამი, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.

— პრეზიდენტი გადაადგილებისთვის ერთ საჰაერო ხომალდს იყენებდა, მეორე ბორტი კი მთავრობის განკარგულებაში იყო. არჩევნების შემდეგაც მდგომარეობა უცვლელი დარჩა. პრეზიდენტი სარგებლობს ერთი ხომალდით, მეორე ბორტი კი ისევ რჩება მთავრობის, კონკრეტულად კი, თავდაცვის სამინისტროს განკარგულებაში. თავდაცვის სამინისტრო აღნიშნავს იმის თაობაზე, რომ ხომალდი შეძენილია ლიზინგის წესით და გადაწყვეტილება მიღებულია სალიზინგო კომპანიასთან ხელშეკრულების გაუქმების შესახებ, რაც ავტომატურად გამოიწვევს უკვე გადახდილი თანხის დაკარგვას, რითაც სახელმწიფოს სოლიდური ზარალი მიადგება. აქვე დავძენთ, რომ ლიზინგის წესით შეძენა, ზოგადად, მიღებული და აპრობირებული მეთოდია, — აცხადებს მანანა მანჯგალაძე.

ინტერპრესნიუსი

◎ წარუმატებელი სოციოლოგი

პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საქართველოს ოფისის ხელმძღვანელს ლუის ნავაროს „წარუმატებელ სოციოლოგს“ უწოდებს.

როგორც from.ge-ს ცისკარიშვილმა განუცხადა, ლუის ნავაროს განმარტება იმის შესახებ, რომ არჩევნებამდე, აგვისტოში ჩატარებულ კვლევასა და საპარლამენტო არჩევნებზე დაფიქსირებულ შედეგებს შორის განსხვავება, ციხის კადრების გავლენის შედეგია, უსუსური განმარტებაა.

„კვლევების მიხედვით, სოციალური საკითხებისადმი დამოკიდებულება შეიძლება უფრო ახლოს იყოს სიმართლესთან. თუმცა, ეს არის, უპირველეს ყოვლისა, სილის გაწნა იმ ხელისუფლებისათვის, რომელიც ასეთ მდგომარეობაში ამყოფებდა თავის მოსახლეობას. როცა გამოკითხულთა თითქმის 2/3 ნაგვის გადასახადს კვლავ მიიჩნევს უბედურების ნიშნად, ასეთი გაძვალტყავებული მოსახლეობა რასაკვირველია, მოტივირებული იყო, რომ სამართლიანი განაჩენი გამოეტანა ყოფილი ხელისუფლებისთვის. ბატონი ნავარო დღესაც არ არის გულწრფელი, ან კიდევ უარესი — უკიდურესად არაკომპეტენტურია იმ პროცესებში, რაც ქვეყანაში მიმდინარეობს. კარგად მესმის ჩვენი მოსახლეობის იმ ნაწილის, რომელმაც საკუთარი აზრი არაერთხელ გამოთქვა ამ წარუმატებელი სოციოლოგის მიმართ და პრაქტიკულად, დისკვალიფიკაცია მისცა მას ქართული სოციოლოგიური ველიდან დათხოვნის მიზნით,“ — აღნიშნა ცისკარიშვილმა.

NDI-მ კვლევის პრეზენტაცია გუშინ გამართა და 14-25 ნოემბრის პერიოდში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები წარმოადგინა. ამასთან, NDI-ს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელის განმარტებით, საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე დიდი გავლენა ციხის კადრებმა იქონია. ასე ახსნა ნავარომ განსხვავება იმ პროცენტულ მაჩვენებლებს შორის, რომელიც აგვისტოში NDI-ის მიერ ჩატარებულ კვლევასა და საპარლამენტო არჩევნებზე დაფიქსირებულ შედეგებს შორის არსებობდა.

„ბოლო კვლევა, რომელიც ჩვენ ჩავატარეთ იყო აგვისტოში, არჩევნებამდე 2 თვით ადრე. აგვისტოში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, დაახლოებით, სამი ერთზე შეფარდებით, უფრო მეტი ადამიანი ამბობდა, რომ ხმას „ნაციონალურ მოძრაობას“ მისცემდა. მოსახლეობის დაახლოებით ნახევარმა, კონკრეტულ კითხვაზე პასუხის გაცემაზე უარი თქვა, ან განაცხადა, რომ არ იცის. აგვისტოს კვლევის დროს ჩვენ პარტიების მიხედვით ე.წ. კროსტაბულაცია წარმოვადგინეთ, რამაც აჩვენა, რომ კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში ის ადამიანები, რომელთაც გადაწყვეტილი არ ჰქონდათ, თუ ვის მისცემდნენ ხმას, ან უარს აცხადებდნენ პასუხზე, უფრო მეტად პოზიტიურად იყვნენ გარკვეული საკითხების მიმართ განწყობილი, ვიდრე „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, თუმცა არც ისე პოზიტიურად, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები. ამ კატეგორიის ადამიანები შუაში იდგნენ და ისინი პოლიტიკური სპექტრის ცენტრს წარმოადგენდნენ, ანუ ისინი იყვნენ მთავარი ბირთვი პოლიტიკური ცენტრისა. შემდეგ უკვე სექტემბერში ამას მოჰყვა ყველაზე ემოციური ციხის კადრები. რამაც ხალხი ქუჩაში გამოიყვანა, ასევე ამ პროცესებში სამოქალაქო საზოგადოება ჩართო აქტიურად. იმჟამინდელი ხელისუფლების მხრიდან მიმდინარეობდა პროცესი, როდესაც ისინი ცდილობდნენ, რომ აეხსნათ და გამოესწორებინათ ეს ფაქტი და რა თქმა უნდა, ამან იმ ცენტრზე იმოქმედა, რომელმაც არ იცოდა, თუ ვის აძლევდა ხმას, ან პასუხის გაცემაზე უარს აცხადებდა. ვინაიდან ჩვენი კვლევის მიხედვით „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერების პროცენტული მაჩვენებელი და რეალური შედეგი, რაც მან აიღო, არ შეცვლილა, ანუ ცვლილება მოხდა იმაში, რომ „გადაუწყვეტელები“ და „უარი პასუხზე“ კატეგორია მთლიანად გადავიდნენ იმჟამინდელი ოპოზიციის მხარეს,“ — განაცხადა ნავარომ.

From.ge

სოსო ცისკარიშვილი: ლუის ნავარო დღესაც არ არის გულწრფელი ან უკიდურესად არაკომპეტენტურია

„პარქტიკულად, თვითლუსტრაციასთან გვაქვს საქმე. თუ ციხის კადრებმა გადაწყვიტა მხოლოდ ის ცვლილება, რომელზეც საუბრობს ბატონი ნავარო, ამომრჩეველთა ხმები რატომ არ დაიძრა „ქრისტიან-დემოკრატების“ მისამართით და რატომ მიემართა უფრო „დაბალრეიტინგული“ „ქართული ოცნებისაკენ“. ნავარო თვეების განმავლობაში გვარწმუნებდა, რომ „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერი უფრო მაღალი რეიტინგით სარგებლობდა, ვიდრე „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი. მგონი, დროა, რომ ბოდიში მოვუხადოთ შვედეთის მოსახლეობას, რომელსაც მთავრობა ბეგრავს, ხოლო შემდეგ იმ თანხის ნაწილს, უკვე მერამდენედ, ჯიუტად გადასცემს ბატონ ნავაროს, რბილად რომ ვთქვათ, საეჭვო გამოკვლევებისათვის,“ — განუცხადა from.ge-ს ცისკარიშვილმა.

რაც შეეხება სოციალურ საკითხებში NDI-ს კვლევების თანახმად გამოქვეყნებულ შედეგებს, პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ იგი სიმართლესთან უფრო ახლოსაა, თუმცა არაკომპეტენტურია.

◎ ალიან-ჩალიანი

სად გაქრა მერიის სარეზერვო ფონდიდან 11 მილიონი ლარი?

ზაზა გაბუნია მერიის სარეზერვო ფონდიდან 11 მილიონი ლარის გაფლანგვაზე საუბრობს და ამ საკითხზე გამოძიების დაწყებას ითხოვს.

მასთან დაკავშირებით თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების„ თავმჯდომარემ გუშინ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს მიმართა. როგორც ზაზა გაბუნია აცხადებს, მან სამინისტროში შესაბამისი დოკუმენტაციაც წარადგინა, რაც მერის სარეზერვო ფონდიდან თანხების გაუმჭვირვალედ ხარჯვას ადასტურებს.

საკრებულოს წევრის განცხადებით, 2010, 2011 და 2012 წლებში თბილისის მერის სარეზერვო ფონდის საერთო მოუცულობა 17 მილიონ 500 ათასი ლარი იყო, თუმცა ინფორმაცია მხოლოდ 6 მილიონ 700 ათასის ხარჯვაზე არსებობს, დანარჩენი 11 მილიონამდე ლარის ხარჯვის პროცესი გაუმჭვირვალედ წარიმართა და არ არის ცნობილი რაში დაიხარჯა.

— გამოთხოვილ დოკუმენტაციაში სარეზერვო ფონდის მთლიანი მოცულობის მხოლოდ ერთი ნაწილის ხარჯვის შესახებ არის ინფორმაცია, რომელიც კონკრეტული მოქალაქეებისათვის სოციალური დახმარების მიზნით თანხების გადარიცხვას ეხება. ჩანს, რომ მერია 11 მილიონამდე ლარის ხარჯვის შესახებ ინფორმაციას მალავს და სწორედ ამიტომ ჩნდება კითხვა, სად დაიხარჯა 11 მილიონამდე ლარი, — აცხადებს ზაზა გაბუნია.

მისივე თქმით, იმის მიუხედავად, რომ სარეზერვო ფონდში არსებული თანხები მხოლოდ ფორს-მაჟორული სიტუაციების დროს უნდა იქნას გამოყენებული, მიმდინარე წლის მაისის თვეში ორთაჭალაში მომხდარი წყალდიდობის დროს ფონდში არ აღმოჩნდა სტიქიის სალიკვიდაციოდ თანხები, რადგან ფინანსური რესურსი წლის შუა ნაწილშიც კი არამიზნობრივად გახარჯული იყო.

ინტერპრესნიუსი

კახა ბენდუქიძის ინტერესები დასახელდა

კახა ბენდუქიძის გვარი ყოფილი ხელისუფლების პირობებში საკუთრების ხელყოფის ფაქტებთან დააკავშირეს. ამ ხმაურიანი ბრალდების ავტორი სახალხო დამცველის ყოფილი მოადგილეა.

სოფო ხორგუანი რადიო „კომერსანტის“ პირდაპირ ეთერში აცხადებს, რომ 2006 წელს „მეწარმეთა შესახებ კანონში“ აქციონერების უფლებებზე ანტიკონსტიტუციური ცვლილება მიიღეს, რის შემდეგაც კონკრეტულ საქმეებში კახა ბენდუქიძის ინტერესები გამოიკვეთა. ხორგუანის განცხადებით, სახალხო დამცველმა კანონის შეჩერება მოითხოვა. თუმცა, აქციები მაინც გაიყიდა, როგორც კონკრეტულ პირებს აწყობდა და აქ პირდაპირ ჩანდა, ვინ ლობირებდა პროცესს.

დაზარალებულთა შორის ხორგუანი „გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის“ აქციონერებს ასახელებს, რომლებმაც რეაგირებისთვის სახალხო დამცველს მიმართეს. ხორგუანის მტკიცებით, ამ სახის ფაქტების უმრავლესობა სააქციო საზოგადოებებს ეხებოდა. ინფორმაციისთვის — მეწარმეთა შესახებ კანონში შესული ცვლილების მიხედვით, აქციათა სავალდებულო მიყიდვა დაწესდა, რამაც მსხვილი აქციონერები პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩააყენა.

რადიო „კომერსანტი,“ FM 95,5

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ალტერნატიული სტრატეგიები, ანუ ისე დაბრუნდა ბებიაჩემი ანეტა...

კომპიუტერულ თამაშთა შორის ერთ-ერთი დიდი ადგილი უკავიათ ე.წ. „სტრატეგიებს“. დღევანდელი ქართული პოლიტიკა სწორედაც რომ სტრატეგიების ომია, და, სავარაუდოდ, უახლოეს წელიწადში ორი ძირითადი ალტერნატიული სტრატეგიული განვითარებაა მოსალოდნელი.

ეს ალტერნატივებია:

ა) ხისტი სტრატეგია, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ — „მოგებულს ყველაფერი რჩება“.

და

ბ) რბილი სტრატეგია, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც — „თანაარსებობა განიარაღების ფასად“.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ იმის არჩევანი, რომელი გზით წავა განვითარება, არა — „ქართულ ოცნებას“, არამედ, ოპოზიციაში მყოფ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ეკუთვნის. ეს პარადოქსი კი მარტივად აიხსნება. სწორედ ნაციონალურ მოძრაობას უპყრია ხელთ გარკვეულწილად „მასობრივი განადგურების იარაღი“ და სწორედ იმაზე, მოისურვებს თუ არა მისი ლიდერი, რომ განიარაღების პროცესი დაიწყოს, დამოკიდებულია მნიშვნელოვანწილად, საქართველოს პოლიტიკური განვითარება 2013 წელს ხისტი გზით წავა, თუ — კომპრომისული ვარიანტით.

ხისტი სტრატეგია

საქართველოს ოპოზიციონერ პრეზიდენტს, ჯერ — ლაზიკაზე და ახლა — კოჰაბიტაციაზე მეოცნებე მიხეილ სააკაშვილს, სპეციალურად მისთვის გამოჭრილ და შეკერილ კონსტიტუციაში აქვს ერთი საოცარი ჯადოსნური ჯოხი, რომელიც მე WMD-დ — „მასობრივი განადგურების იარაღად“ — შევრაცხე.

ეს იარაღი ისაა, რომელზეც სულ უფრო მეტად ლაპარაკობენ ქართველი ექსპერტები, და რომელიც კოჰაბიტაციისაკენ მომწოდებელ დასავლელ პოლიტიკოსებს ან ავიწყდებათ, ან, საერთოდ, არც კი გაუგიათ.

აი, ისიც: 1-დან 30 აპრილამდე პერიოდში მიხეილ სააკაშვილს შეუძლია, ყოველგვარი განსაკუთრებული წინაპირობის გარეშე, დაშალოს საქართველოს მთავრობა, დაითხოვოს პრემიერ-მინისტრიც და ძალოვანი მინისტრებიც და საკუთარი კანდიდატურები შესთავაზოს პარლამენტს.თუ პარლამენტი პრეზიდენტის კანდიდატურებს სამჯერ უარყოფს, ამით საკუთარ განაჩენსაც მოაწერს ხელს, რადგან პრეზიდენტს შეეძლება პარლამენტიც დაითხოვოს და 2 თვეში ახალი, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დანიშნოს. თუ წარმოიდგენთ, რომ ამ არჩევნებს ჩაატარებს ზურაბ ხარატიშვილის მიერ მართული საარჩევნო კომისია, ხოლო ქვეყანაში ამ დროს სამართალს კუბლაშვილები, ძალოვან უწყებებს — მერაბიშვილი, ფინანსებს — ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ქადაგიძე და აუდიტს — მოგელაძე აღასრულებენ, საკმაოდ დიდი ალბათობით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს არჩევნები ყველაზე უფრო საშინლად გაყალბებული იქნება და ნაციონალური მოძრაობა სააკაშვილის დაპირებულ ჯადოქრობას განახორციელებს და დასავლეთს მოსთხოვს, როგორც ადრე „არ შეეუშალე ხელი“ ივანიშვილს გამარჯვებაში, ისე ახლა „ქართულმა ოცნებამ“ გადმომაბაროს ხელისუფლება და დაამტკიცოს, რომ საქართველო ჭეშმარიტად დემოკრატიული ქვეყანა გახდაო (1 ოქტომბრის შემდეგ მიხეილ სააკაშვილის უპირველესი ლოზუნგი ხომ ესაა: — „ჭეშმარიტად დემოკრატიულ ქვეყანაში ზედიზედ ორჯერ უნდა მოხდეს ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარება!“).

რა თქმა უნდა, მსგავსი გამარჯვების მოპოვება მხოლოდ გაყალბებით შეუძლებელი იქნება, ამჟამინდელ ოპოზიციას დასჭირდება, ამჟამად IRI-ის მიერ 13%-ის დონეზე არსებული საცოდავი რეიტინგი სულ ცოტა 35%-მდე ასწიოს, რათა მერე დაახლოებით 15% ვანოს, კუბლაშვილების, მოგელაძის და მსგავსი „რესურსების“ გამოყენებით 50%-ს ააცილოს და ნანატრი გამარჯვება მოიპოვოს. ამიტომ დამატებით ნაციონალური მოძრაობა უკვე ახორციელებს თავის პროპაგანდისტულ და საბოტაჟის კამპანიებს.

პროპაგანდისტული მიმართულება ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ ყველანაირად ცდილობენ დანერგონ აზრი: „ ეს (ივანიშვილის) მთავრობა დროებითი მთავრობაა! ჩვენ მალე დავბრუნდებით!“

ხოლო საბოტაჟის კამპანია ჯერჯერობით ჩანასახოვან მდგომარეობაშია. არაა გამორიცხული, რომ უკვე დაწყებულ „კრიმინალი მოდის!“ და „ქვეყანაში რელიგიური შეუწყნარებლობა მძვინვარებს!“ პროპაგანდისტულ ლოზუნგებს და აქციებს დაემატოს შემდეგი მიმართულებები:

ა) ვალუტის კურსის მკვეთრი მერყეობა და საბანკო კრიზისი;

ბ) ელექტროენერგიის მოულოდნელი გათიშვები (სიცივეების სეზონის დადგომისას!);

გ) სურსათის იმპორტის მოულოდნელი შეწყვეტა და სასურსათო კრიზისი;

დ) საპორტო და სარკინიგზო გადაზიდვების შეფერხებები;

ე) საელჩოების მხრიდან კიდევ უფრო მძიმე საბოტაჟი და ანტისამთავრობო პროპაგანდა;

ვ) უცხოელი მოქალაქეების მიმართ კრიმინალური ქმედებების გახშირება...

ზ) და ყველაზე მძიმე — დივერსიები ენერგოსისტემებზე, საზღვრებზე, სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთში და სამცხე-ჯავახეთში.

ყველა ამ მიმართულებით რეალური საბოტაჟი შეიძლება განსაკუთრებით ეფექტური და მასშტაბური არც კი იყოს, მაგრამ იქნება დეზინფორმაციის და პროპაგანდისტული ზეძლიერი ტალღის ახალი აზვირთება. ამაში ჩაერთვება თამარ ჩერგოლეიშვილის „ტაბულა ტვ“-ც და უცხოეთში არსებული ლობისტური კომპანიები და გულუხვად დაფინანსებული შიდა თუ უცხოური მედია! წარმოიდგინეთ, რომ იმერეთის რამდენიმე სოფელში დენის რამდენიმესაათიან გათიშვას მოჰყვება ასეთი სათაურები — „იმერეთი ტოტალური უშუქობის კოშმარში!“ „დასავლეთ საქართველოში უდენობის გამო ბავშვების სიკვდილიანობა კატასტროფულად მატულობს!“

ან ასეთი სათაური მედიაში: „კონფიდენციალური ინფორმაციით ნატოში საქართველოს ელჩი გააფრთხილეს, რომ ალიანსი მალე საქართველოსთან კავშირს გაწყვეტს!“

ან კიდევ ეს: „როგორც ჩვენი წყარო ადასტურებს, მაგისტრალური გაზსადენი საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან აფეთქდა. სავარაუდოდ, საქართველოს გაზის მხოლოდ 4-საათიანი მარაგი დარჩა! ის დროა, ყველამ ნავთი მოიმარაგოს!“

ამ მასირებული „მოდელირებული ქრონიკების“ ფონზე, როცა ყოფილი რეჟიმის მომხრეების მიერ ორგანიზებულ ერთეულ საბოტაჟის თუ დივერსიის ფაქტებს, ან — ახალი მთავრობის ზოგიერთი სუსტი რგოლის შესაძლო უგულისყურობის ფონზე მართლაც მომხდარ ერთეულ ავარიას — 10-ჯერადი ან 100-ჯერადი გაბუქების მედიაკამპანია და უცხოეთში კარგად ორგანიზებული ექო-გამოძახილები მოჰყვება, პრეზიდენტი სააკაშვილი მსოფლიო ტურებს მოაწყობს და სულ უფრო შეშფოთებული სახით ნაღვლიანი თავის ქნევით გაიმეორებს: „მეგონა, უკეთ გაართმევდნენ თავს! სხვა რა გზაა, ალბათ, ჩარევა მოგვიწევს! ხალხის გასაჭირს და უბედურებას შორიდან ვერ დავაკვირდები!“

თუ ამას მასირებულ პიარ-პროპაგანდას, საბოტაჟს და დივერსიისა და უნიათობის შესაძლო ცალკეულ ფაქტებს იმასაც დავამატებთ, რომ პარლამენტის შენობების დანგრევით/აბსურდული დაგეგმვით, ხაზინაში მხოლოდ 200 მილიონის დატოვებით, კატასტროფული კრედიტების აღებით და ქვეყნის მატერიალური რესურსების თბილისის თუ სხვა თვითმმართველობებში სერიოზული გადაქაჩვით, ნაციონალურმა მოძრაობამ იმდენად მძიმე ფინანსური მემკვიდრეობა დატოვა, რომ „ქართულ ოცნებას“ პრაქტიკულად შანსი არა აქვს მის მიერ დაპირებული სოციალური პროგრამების დიდი ნაწილი პირველ წელს სრულად განახორციელოს, არაა გასაკვირი, რომ „ქართული ოცნების“ რეიტინგი მართლაც შემცირდეს და 2013 წ. აპრილისათვის, როცა მიხეილ სააკაშვილს თავისი WMD გამოყენების შანსი გაუჩნდება, მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბოს.

სრულიად გასაგებია, რომ „ქართული ოცნება“ — ბიძინა ივანიშვილი და საქართველოს მთავრობა ნაცმოძრაობის მიერ გათამაშებულ ამ ფარსს სათანადო კონტრსტრატეგიას დაახვედრებს, რომელსაც ბავშვობიდან მეხსიერებას შემორჩენილი ფილმის სახელი შეიძლება მოერგოს კარგად:

„დაასწარ დარტყმა, ფრედ!“

რა თქმა უნდა, ეს სტრატეგია გულისხმობს კონტრპროპაგანდას — როგორც ქართული, ისე უცხოური საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებას იმაზე, თუ რატომ არიან დაკავებული ნაცმოძრაობის ლიდერები, რომელთაც კონკრეტულ კრიმინალურ ქმედებებზე აქვთ ბრალი წარდგენილი... ან იმაზე, რატომ დაიწყო ასე გამიზნულად კონფლიქტები რელიგიურ ნიადაგზე... რატომ ხდება, რომ მანქანებს გამიზნულად აზიანებენ, მაღაზიებს ტეხენ, უცხოელებს თავს ესხმიან — და ყოველივე ამას ძალიან მცირე ეკონომიკური საფუძველი აქვს — დანაშაულის უმრავლესობა დანაშაულისთვის ხდება და არა კონკრეტული ფულადი ინტერესის გამო...

ასევე, აუცილებელი იქნება პოლიციაში, საფინანსო თუ ენერგეტიკულ სფეროში მოკალათებული მიშისტი საბოტაჟისტების გამოვლენაც... ოღონდ ეს ყველაფერი დასაბუთების შემთხვევაში უნდა ხდებოდეს მხოლოდ.

ასევე, აუცილებელია მოდელირებული სიუჟეტების მხილება, ოღონდ ამან ცენზურის ხასიათი არ უნდა მიიღოს...

მაგრამ რამდენადაც მთელი ამ სტრატეგიის მთავარი ელემენტი სწორედ რომ სააკაშვილის ხელში აპრილისათვის გადანახული ის ჯადოსნური ჯოხია, ამიტომ მთავრობის ძირითადი სტრატეგია სწორედ ამ მასობრივი განადგურების იარაღის ნეიტრალიზაცია უნდა იყოს! თუ სააკაშვილი ამ იარაღისაგან განიარაღდება, ნაცმოძრაობის ხისტი, აგრესიული სტრატეგიის სხვა ელემენტებიც ლამის თავისთავად ნეიტრალიზდება.

სააკაშვილის განიარაღების ორი მეთოდი მის იმპიჩმენტს, ან საკონსტიტუციო ცვლილებების უფრო ადრე — აპრილამდე განხორციელებას გულისხმობს. იმპიჩმენტი, უფრო სწორხაზოვანი ტაქტიკაა და უცხოეთში მეტ გაღიზიანებას გამოიწვევს, ხოლო თუ საქმე ოქტომბერში ისედაც განსახორციელებელი საკონსტიტუციო ცვლილებების უფრო ადრე გადმოტანას შეეხება, ეს, ალბათ, უფრო დახვეწილი ტაქტიკაა და ივანიშვილმა აშკარად მიანიშნა, რომ ახლა ეს ვარიანტი უფრო მისაღებად ეჩვენება.

ამ ვარიანტის ყველაზე დახვეწილი ტაქტიკა გულისხმობს იმ საკონსტიტუციო მუხლზე აპელირებას, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტი 5 წლით ირჩევა და სააკაშვილისთვის ეს ვადა 2013 წლის 20 იანვარს გადის. მართალია, მეორე მუხლით ისიცაა აღნიშნული, რომ საქართველოში, როგორც საპარლამენტო, ასევე საპრეზიდენტო არჩევნები ოქტომბერში უნდა ჩატარდეს (რაც მართლაც ძალიან კარგი პერიოდია — არც ქარბუქი ან ყინვა გაართულებს ამომრჩეველთა აქტივობას და არც—საზაფხულო შვებულებებისას კურორტებზე გასულ ადამიანთა მასები), მაგრამ გადაულახავ წინააღმდეგობად ესეც არ ჩანს. ჯერ ერთი, გამონაკლისის წესით, შეიძლება შეცვლილი უფლებამოსილების პრეზიდენტის არჩევნები პირველად ოქტომბრამდე ჩატარდეს, ხოლო უფლებამოსილების პერიოდი 5 წელზე ნაკლები აღმოჩნდეს — 2017 წლის ოქტომბრამდე, ხოლო შემდეგ ეს ყველაფერი რეგულარულ 5-წლიან პერიოდად ჩამოყალიბდება, ხოლო მეორე გამოსავალი კი ის იქნება, რომ პარლამენტმა საკონსტიტუციო ჩასწორებასთან ერთად ის შესწორებაც მიიღოს, რომ მოქმედ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს თავისი უკვე შემცირებული უფლებამოსილება 2013 წლის ოქტომბრამდე გაუხანგრძლივდეს... ჯადოსნური ჯოხის გარეშე ხომ იგი უკვე თავის საფრთხეს დაკარგავს...

იხ. 4 გვ.

◎ ალიან-ჩალიანი

ივანიშვილი წყნეთის სამთავრობო აგარაკებს ყიდის

საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილის დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, წყნეთის სამთავრობო აგარაკები, შესაძლოა, პრივატიზებას დაექვემდებაროს და მათ უფრო სასარგებლო დანიშნულება გამოუნახონ. ამის შესახებ ქუმსიშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, საუბარია 16 აგარაკზე, რომლითაც მთავრობის წევრები სარგებლობდნენ, თუმცა, ქუმსიშვილს არა აქვს ინფორმაცია, რა თანხა უჯდებოდა სახელმწიფოს მათი შენახვა. მისი ვარაუდით, ეკონომიკურად გაანგარიშების შემთხვევაში, ეს თანხა წელიწადში მილიონი ლარი უნდა ყოფილიყო. როგორც ქუმსიშვილი ამბობს, ამ აგარაკების მოვლა-პატრონობა ერთ კონკრეტულ სახელმწიფო შპს-ს ევალებოდა. ეკონომიკის მინისტრის მოადგილეს არც ის ინფორმაცია აქვს, კონკრეტულად რომელ თანამდებობის პირებს ეკუთვნოდათ ესა თუ ის აგარაკი. მისი განმარტებით, იმას, თუ ვის გადაეცემოდა აგარაკი, სახელმწიფო კანცელარია წყვეტდა.

მისივე ინფორმაციით, საპრივატიზაციო პროცესები მას შემდეგ დაიწყება, რაც მოხდება აგარაკების შეფასება. ქუმსიშვილი ამბობს, რომ აგარაკები თითქმის დაცლილია და იქ ცხოვრებას მხოლოდ რამდენიმე ოჯახი განაგრძობს, რომელთაც აგარაკები იჯარით აქვთ აღებული.

„ახლა რამდენიმე ოჯახს იქ ფართი იჯარით აქვთ აღებული და, როგორც ვიცი, საკმაოდ სიმბოლურ ფასად. თუ არ ვცდები, თვეში 300 ლარზეა საუბარი. როგორც კი იჯარის ვადა გავა, ეს ოჯახები სამთავრობო აგარაკებს დატოვებენ“, — აღნიშნა ქუმსიშვილმა.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ბანკი და კრედიტორი

ქობულეთელებს შანსი გაუჩნდათ

ქობულეთში მოსახლეობის საკუთარი სახლებიდან გამოყრა დროებით გადაიდო. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ბანკები გარკვეულ დათმობაზე წამოვლენ, აჭარის მთავრობა კი სესხით გაწამებულ მოსახლეობასა და ბანკებს შორის შუამდგომლობას იკისრებს.

ამჟამად აჭარის მთავრობაში წარდგენილია ქობულეთში მცხოვრებთა 384 განცხადება, რომლებიც ითხოვენ მთავრობის შუამდგომლობას ბანკებთან და ფინანსურ კომპანიებთან კრედიტის პირობების გასაუმჯობესებლად.

„ამ საკითხზე მუშაობა უკვე დაწყებულია. ბანკირებთან გამართული პირველი შეხვედრის შემდეგ შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც ამ ოჯახების პრობლემას დეტალურად სწავლობს. კომისია სხვადასხვა სიტუაციაში ბანკებისთვის და გადახდისუუნარო მსესხებლებისთვის პირობების გაუმჯობესების ხერხებზე, მათი თავიდან აცილების გზებზე და შეღავათიანი პირობების ჩამოყალიბებაზე მუშაობს.

გვქონდა სამუშაო შეხვედრა, რომელზეც ბანკების რეგიონულმა ხელმძღვანელებმა მოკლე ხანში შესწავლილი საქმიანობის შედეგები წარმოადგინეს. მივედით გადაწყვეტილებამდე, რომ დროებით შეჩერდეს განმცხადებლების აღსრულების პროცესი, რომლებიც ამ ეტაპზე გადახდისუუნაროდ ითვლებიან, ხოლო ის, ვინც გადახდისუნარიანად ითვლება და უპრობლემოდ სარგებლობს სესხით, ბანკებთან ურთიერთობას განაგრძობს ჩვეულებრივად, არსებული ხელშეკრულების ფარგლებში. რიგ შემთხვევებში შესაძლებელია პირობების გაუმჯობესება, კერძოდ საპროცენტო განაკვეთის შემცირება, ან ვადის გაზრდა ბანკის საკრედიტო პოლიტიკის გათვალისწინებით“, — აცხადებენ აჭარის მთავრობის მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში.

ქობულეთელთა ნაწილი ამბობს, რომ ისინი მხოლოდ აგვისტოს ომს არ დაუზარალებია. 2008 წლის გარდა, მძიმე მდგომარეობა იყო 2011 წელსაც, როცა ტურისტული სეზონი, ასევე, ჩავარდა. ამის ერთ-ერთ მიზეზად, შუა საზღვაოსეზონში, ქობულეთში ცენტრალური საავტომობილო გზის რეკონსტრუქციისა და სკვერების რეაბილიტაციის დაწყებას ასახელებენ, შექმნილმა დისკომფორტმა კი ტურისტების გადინება გამოიწვია.

საზოგადოება „ჩვენი ქობულეთის“ ხელმძღვანელის თამაზ გოგიბერიძის განცხადებით, ქობულეთში ყოველ მეორე-მესამე ოჯახს ბანკთან უზარმაზარი პრობლემები აქვს. ამიტომ მათი მოთხოვნაა, პირველ რიგში, შეწყდეს ხალხის გამოსახლება სახლებიდან.

„თითქმის ყოველი მესამე-მეოთხე ოჯახი გამოსახლების კანდიდატია. ამიტომ, ვთხოვეთ ხელისუფლებას გაიცეს იაფი მუნიციპალური სესხები ერთიდან ოცი წლის ვადით და ხალხს მიეცეს საშუალება დაფაროს საბანკო კრედიტები“, — აცხადებს გოგიბერიძე.

გაკოტრებული ოჯახის გამოსახლებისას პოლიციასა და მოსახლეობას შორის შეტაკებები ქობულეთისთვის უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა. საბანკო კრედიტებისგან დაზარალებულებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ყველა გამოსახლების მცდელობისას ხალხი იქნება ერთიანი და არ დაუშვებს, რომ რომელიმე ქობულეთელი ოჯახი საკუთარი ქონების გარეშე დარჩეს.

აჭარის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელი, ფრაქცია „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე სულხან ღლონტი განმარტავს, რომ ბანკების პოზიცია, ჯერჯერობით, უცნობია, თუმცა, შეინიშნება მზადყოფნა, რომ დაზარალებულებს შეუმცირდეთ საპროცენტო განაკვეთები და გარკვეული შეღავათებით სარგებლობის შესაძლებლობა ჰქონდეთ.

„ამ საკითხთან დაკავშირებით სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს. ჩვენ ინტერესში შედის, რომ დაზარალებულთა მდგომარეობა მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული და ბანკები დათმობაზე წამოვიდნენ. ცხადია, მსესხებლები რეალურად მართლები არიან და მათი ზარალი გამოწვეულია არა პირადი დაუდევრობით, არამედ ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენებით.

ასეთ დროს მსოფლიოში ყველა ღირსეული სახელმწიფო დგება შუამავლის როლში ბანკსა და მოქალაქეებს შორის. საქმე 384 განცხადებას ეხება, მაგრამ დაზარალებულთა რიცხვი რეალურად ბევრად მეტია. ვფიქრობ, საკითხის შესწავლა ეტაპობრივად მოხდება, მაგრამ ამაზე საბანკო სექტორის მხრიდან საუბარი ჯერ არ არის. საკითხი განიხილება და სულ რამდენიმე დღეში ბანკები საკუთარ პოზიციებს ოფიციალურად დააფიქსირებენ“, — ამბობს სულხან ღლონტი.

ეკა ბაძრაძე

◎ „მასობრივი განადგურების იარაღი“

ალტერნატიული სტრატეგიები

(მესამე გვერდიდან)

ამდენად, „ქართული ოცნების“ უმრავლესობისთვის ხისტი საპასუხო სტრატეგიის მთავარი ტაქტიკური ღერძი საკმაოდ ნათელია — საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება და საკონსტიტუციო ცვლილებები 2013 წლის 1 აპრილამდე ამოქმედება.

ორივე მხარეს ძალიან სჭირდება, რომ მომხრეებში იმედი გააღვივოს და მოწინააღმდეგეებში იმედი ჩააქროს. სწორედ ამიტომ არის ეს სტრატეგია ხისტი და იგი ჯერ კიდევ დაუმარცხებელი მოწინააღმდეგის მიმართ რაიმე ლოიალობას ფაქტობრივად გამორიცხავს. ყოველგვარი საუბრები კოჰაბიტაციაზე აბსოლუტურად უაზროა. არავინ არ დაიჯერებს კოჰაბიტაციის რეალობას იმ მოწინააღმდეგესთან, ვისაც ხისტი სტრატეგია აქვს შენს გასანადგურებლად და ვინც ამ დევიზით მოქმედებს — „გამარჯვებულს ყველაფერი რჩება“. ამიტომ „ქართული ოცნების“ მიმართ ნაცმოძრაობის მხრიდან ნამუსზე შეგდების მცდელობა, რომ ამორალურია, თურმე საკრებულოებში ძალაუფლების გადაბარების არსებული რეალობა, რომ პოლიციამ თურმე უნდა დაიცვას გამგეობების მუშაობის უბინოება, რომ სამეგრელოს პოლიციის უფროსის (და ხალხის დამტერორებლის) თენგიზ გუნავას ნარკოტიკებზე და ბენზინის ტალონებზე დაკავება გაუმართლებელია და რომ უფლებადამცველი (და ექს-ზონდერი) გიორგი ონიანი ამის წინააღმდეგ მთელი თავისი სისპეტაკით იბრძოლებს — უაზროა. ნაცმოძრაობის არც უსამართლო და კრიმინალური წარსული და არც არსებული აწმყო (საკაშვილის ჯიბეში სააპრილოდ გადანახული შენელებული მოქმედების, მაგრამ მასობრივი განადგურების იარაღი), არ იძლევა ლოიალობის მინიმალურ საფუძველს!

რბილი სტრატეგია

უცნაურია, მაგრამ რბილი სტრატეგია ლამის იგივე ჯაჭვს გულისხმობს, რასაც ხისტი, ოღონდ — მოქმედი პირების გაცვლით. რბილი სტრატეგიის ამოსავალი პუნქტი ის იქნება, რომ ნაცმოძრაობა უნდა განირაღდეს! მიხეილ სააკაშვილმა თავად უნდა განაცხადოს უარი მის მიერ სათუთად გადანახულ ჯადოსნურ იარაღზე და თავად მოითხოვოს პარლამენტის მიერ ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების დროზე ადრე ამოქმედება! ამ შემთხვევაში ქართულ ოცნებას აღარ ექნება იმ რეალური საფრთხის განცდა, რაც დღეს არის და, სავარაუდოდ, მისი მოქმედებაც გაცილებით ნაკლებ ხისტი გახდება:

— თუ პრეზიდენტს აღარ აქვს აპრილში მთავრობის და პარლამენტის დათხოვნის შეაძლებლობა, მაშინ აზრს კარგავს პრეზიდენტის ნაადრევი იმპიჩმენტიც და თვითმმართველობების გადმობარებაც. მართალია, ეს პროცესი, ალბათ, მაინც გაგრძელდება (ადგილზე იქაური მოსახლეობის მხრიდან თვითმმართველობის კადრების ცვლის სურვილის გამო), მაგრამ ცენტრალურ ხელისუფლებას უკეთ შეეძლება გაემიჯნოს ამ პროცესებს და თუ ძალდატანება აშკარად არღვევს ორგანოთა საქმიანობას, პოლიციაც, ალბათ, მოახერხებს ამ პროცესებს საზღვარი დაუწესოს და კანონის ჩარჩოში მოაქციოს.

— არ არის გამორიცხული, რომ ბურჯანაძისეული „დენაციფიკაციის“ პოლიტიკა აღარ განხორციელდეს. მიხეილ სააკაშვილის და რამდენიმე უმაღლესი თანამდებობის პირის პოლიტიკური მომავალი ჩემთვის უაღრესად სათუოდ რჩება (თუ ციხეს გადარჩებიან, მადლობელნი უნდა იყვნენ), მაგრამ თავად ნაციონალურ მოძრაობას, ჩემი აზრით, მიეცემა შანსი, რომ პოლიტიკურ პარტიად დარჩეს. თუმცა, რებრენდინგი მაინც რომ დასჭირდებათ, ამას უკვე თავადაც კარგად ხვდებიან.

— თუ ნაცმოძრაობის მხრიდან ზემოხსენებული ნაბიჯი გადაიდგმება, სავსებით მოსალოდნელია, რომ დასავლეთი მართლაც ხისტად დააყენებს კოჰაბიტაციის მოთხოვნას და არ არის გამორიცხული, რომ მიხეილ სააკაშვილისათვის რაიმე ტიპის გარანტიების მოთხოვნაც დადგეს ან ღიად, ან (უფრო, სავარაუდოდ) — კონფიდენციალურად.

როდესაც ზემოთ სააკაშვილის ხელში არსებულ ჯადოსნურ ჯოხს „მასობრივი განადგურების იარაღი“ ვუწოდე, რა თქმა უნდა, აქ გარკვეული დოზით ხუმრობა იყო ჩადებული, მაგრამ მხოლოდ გარკვეული დოზით.

რადგან თუ მიხეილ სააკაშვილი მართლა გადაწყვეტს ამ იარაღის ამოქმედებას, ნაცმოძრაობის ჯერ კიდევ მოდელირებაში მოფარფატე სტრატეგებს უნდა ესმოდეთ, რომ შიშის ბოთლიდან გამოსული ხალხის უკან ჩაბრუნება ძალიან ძნელი იქნება! ვინმეს წარმოუდგენია, რა მოჰყვება საპრეზიდენტო ბრძანებას, რომ შსს მინისტრად ისევ მერაბიშვილი, ხოლო თავდაცვის მინისტრად ისევ ახალაია (სავარაუდოდ — დათა) ან გიგა კალანდაძე ინიშნება? თუ არ წარმოგიდგენიათ, მინდა, იმედი გაგიცრუოთ — შანსი იმისა, რომ ეს ბრძანებულება მეფსეულად შესრულდება, ძალიან მცირეა და შეიძლება მივიღოთ სრულად კატასტროფული მდგომარეობა, როცა პოლიციის ნაწილი „ქართული ოცნების“ მთავრობის ერთგული დარჩება, ხოლო ნაწილი სააკაშვილის ბრძანებების შესრულებას დაიწყებს! ასეთივე კატასტროფა შეიძლება მოხდეს ჯარში, რომლის ცალკეულმა ნაწილებმა შეიძლება ერთმანეთის მიმართ საბრძოლო ქმედებები დაიწყონ...

და ამიტომ, სრულიადაც არ არის სახუმარო, რომ ეს ყველაფერი შეიძლება მართლად მასობრივი განადგურების იარაღი აღმოჩნდეს, ყოველგვარი ბრჭყალების გარეშე — ქართველების მასობრივი განადგურების უნივერსალური იარაღი!

თუმცა, რამდენად ესმით ეს ნაცმოძრაობის დღევანდელ ლიდერებს, ამის ანალიზი მომავლისთვის გადავდოთ...

მოქმედი პირებიც და სათაურიც უკვე მოფიქრებულიც მაქვს:

„უკანასკნელი მიხუკანები“&ldquo

სოლომონ თერნალი

◎ ალიან-ჩალიანი

თბილისის მერიაში პრემიერის განცხადებას უარყოფენ

რადიო „კომერსანტისთვის“ თბილისში მშენებარე „ოლიმპიურ სოფელთან“ დაკავშირებით ახალი დეტალები ხდება ცნობილი. შეგახსენებთ: პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე გასულ თვეში განაცხადა, რომ აძვს ინფორმაცია თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე 126 ათასი ჩინელის ჩამოსახლებაზე და რომ ჩინური კომპანიის პროექტი, შესაძლოა, გადაიხედოს.

პროექტი 420 ჰექტარზე უნდა გაშენდეს და ეკონომიკური ზონისა და ოლიმპიური სოფლის მშენებლობას ითვალისწინებს.

მერიის ქონების მართვის სააგენტოში პრემიერის განცხადებას ჩინელების ჩამოსახლებაზე უარყოფენ და აცხადებენ, რომ გაურკვეველია, რის საფუძველზე აკეთებს პრემიერ-მინისტრი ამ განცხადებას. მათი განმარტებით, პუნქტი, რომელიც ჩინელების ჩამოსახლებას გულისხმობს, ხელშეკრულებაში არ დევს. სააგენტოს ცნობით, ჩინური კომპანია, რომელსაც 70% საქართველოს მოქალაქეები ჰყავს დასაქმებული, ოლიმპიური

სოფლის მშენებლობას უწყვეტ რეჟიმში განაგრძობს: გაიყვანა გზები, ასევე დაწყებულია სახლების, 4 საგამოფენო ცენტრის და სასტუმროს მშენებლობა.

რადიო „კომერსანტი,“ FM 95,5

ზუგდიდში ინვესტირება იგეგმება, თუმცა, დეტალები უცნობია

ზუგდიდის ეკონომიკაში 100 მილიონი ჩაიდება, ამ ეტაპზე კი ამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს. როგორც commersant.ge-ს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარემ პაატა კვიჟინაძემ განუცხადა, პარლამენტში ეს საკითხი განსახილველად ჯერ არ შესულა, თუმცა, მასზე მუშაობა მიმდინარეობს და პირველ ეტაპზე ის განისაზღვრება, თუ ვინ განკარგავს ამ თანხებს, ადგილობრივი თვითმმართველობა თუ ცალკე სტრუქტურა, რომელიც სამომავლოდ შეიქმნება.

„უახლოეს მომავალში ზუგდიდის ეკონომიკაში ჩავდებთ 100 მილიონ ლარს, რათა შესაძლებელი გახდეს მცირე და საშუალო საწარმოების შექმნა... იმ კომპანიებმა, რომლებიც აძ გადაწყვეტენ საძმიანობას, უნდა აიღონ ვალდებულება, რომ ადგილობრივ მუშახელს მიანიჭებენ უპირატესობას,“ — განაცხადა წინასაარჩევნო კამპანიისას ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, ზუგდიდში კავკასიის საერთაშორისო სამედიცინო ცენტრი და სასწავლებელი შეიქმნება, სადაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის სწავლა და მკურნალობა უფასო იქნება, ისევე, როგორც აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა მსურველისთვის. თუმცა, სამედიცინო ცენტრის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ ზუგდიდის გამგეობაში. მათი განცხადებით, გამგეობაში მსგავსი ინფორმაცია არ შესულა და პროექტზე მუშაობა მიმდინარეობს. აღნიშნული ცენტრის შესახებ კონკრეტული გეგმები ჯერჯერობით არ არსებობს.

commersant.ge

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კრიჭაში დგომა

ვის დაასახელებს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტობის კანდიდატად „ნაციონალური მოძრაობა“, სავარაუდოდ, გადაწყვეტილი არ არის. თუმცა, ამისათვის მზადების პროცესი, ცხადია, დაიწყო. მიმდინარეობს სავარაუდო კანდიდატების მიმართ საზოგადოების რეაქციების მოსინჯვა, უკვე გამოჟონა კულუარულმა ინფორმაციამ, რომ გაზაფხულზე, მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ივანე მერაბიშვილი ახალ პოლიტიკურ ძალას შექმნის. პირველი ნაბიჯი სავარაუდოდ, ივანე მერაბიშვილის, იგივე, ლევან მაისურაძის აეროპორტში აყვანა უნდა ყოფილიყო, რაც მას გმირად აქცევდა, თუმცა არ გამოვიდა. სამაგიეროდ ნაცმოძრაობამ დაკითხვების პიარკამპანიად გამოყენება სცადა და საგამოძიებოში მეორე ჯერზე დაკითხვიდან გამოსულმა მერაბიშვილმა მომხრეებისა და კამერების წინაშე თავისი საპრეზიდენტო სიტყვაც წარმოთქვა:

ვინ იქნება ივანე მერაბიშვილის ელექტორატი (ნაციონალები ამაზეც ზრუნავენ)? „ნაციონალურ მოძრაობას“ დაქვემდებარებული ენჯეოები სოციალურად აქტიურ საზოგადოებრივ გაერთიანებებად ჩამოყალიბდებიან და ერთი მხრივ, ხელისუფლებას დაუპირისპირდებიან, მეორე მხრივ, ხალხს გადაიბირებენ. და კიდევ ერთი, შექმნის თუ არა ახალ პარტიას მერაბიშვილი, ნაადრევია ლაპარაკი, ის ჯერჯერობით განახლებულ „ნაციონალურ მოძრაობაზე“ ლაპარაკობს, თუმცა, არის ერთი გარემოება, რომლის გათვალისწინებითაც, ნაციონალებს, შესაძლოა, სახელის შეცვლა მართლაც მოუხდეთ, თუკი უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი, მირიან მირიანაშვილი სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მიხეილ სააკაშვილმა მას პარტია მართლაც წაართვა. მოხდება თუ არა „ნაციონალური მოძრაობის“ რეანიმაცია, რა შანსები აქვს მას ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით, მართლა დარჩება თუ არა „ქართული ოცნება“ მომავალ არჩევნებზე კონკურენტის გარეშე, ამ თემებზე ექსპერტი ბექა ნაცვლიშვილი გვესაუბრება.

„ლელვის ფოთოლი“ დასავლეთისთვის

– როგორ ფიქრობთ, გახდება თუ არა ვანო მერაბიშვილი განახლებული „ნაციონალური მოძრაობის“ ახალი სახე, მისი მომხრეების გმირი, კერპი?..

– ვანო მერაბიშვილი პირველად რომ დაიბარეს დაკითხვაზე, ვნახეთ, სპონტანური და მართლა ემოციაზე დაფუძნებული პროტესტი მის წინააღმდეგ. შემდგომ დაკითხვაზე უკვე ვნახეთ მისი მხარდამჭერი პროტესტი. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ ეს სპონტანური პროტესტი უფრო გამოხატავდა ხალხის დამოკიდებულებას მის მიმართ, ვიდრე შემდეგი, როდესაც გაცხადდა, რომელ საათზე მივიდოდა ვანო მერაბიშვილი საგამოძიებო სამსახურში და მის მხარდამჭერთა ვიწრო ჯგუფი შეიკიბა. არ მგონია, რომ რეანიმაციის დაწყებაზე იყოს ლაპარაკი.

შეიძლება სკეპტიკური დამოკიდებულება ხელისუფლების ცვლის გამო საზოგადოების ერთ ნაწილში შეიმჩნეოდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი აქცენტს უკვე „ნაციონალურ მოძრაობაზე“ აკეთებენ, ან ნანობენ იმ გადაწყვეტილებას, რაც მიიღეს. ამიტომ, „ნაციონალური მოძრაობის“ რეანიმაციაზე ლაპარაკი ნაადრევია.

ამ მოცემულობაში რაც დღეს გვაქვს, გაძლიერების რა შანსები აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“ – ისინი დღესაც ამხნევებენ საკუთარ მომხრეებს, რომ მალე აუცილებლად დაბრუნდებიან ხელისუფლებაში...

– მოვლენების განვითარებას თუ მივყვებით, გადავხედოთ, რა პროცესები შეიძლება განვითარდეს – ეს არის სამართლებრივ საკითხებზე ეჭვმიტანილთა დაბარება, შემდეგ იმ დამნაშავე პირთა პასუხისგება, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან.

შემდეგ დაიწყება საზოგადოების მხრიდან, ამისი დიდი იმედი მაქვს, ზოგადად, „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის გადააზრება, რომელიც კიდევ უფრო შეცვლის საზოგადოების დამოკიდებულებას ამ პარტიის მიმართ - უფრო ნეგატიურს გახდის. ეს იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებაში რეალურად წავიდა ამ რეჟიმის გადააზრების პროცესი და მესამე, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება, მე ასე მგონია და ასე წარმომიდგენია, მიხეილ სააკაშვილი, ანუ „ნაციონალური მოძრაობის“ ნებისმიერი კანდიდატი ამ საპრეზიდენტო არჩევნებსაც წააგებს და ამის შემდეგ „ნაციონალური მოძრაობა“ ნელ-ნელა შეიძლება ან დაიშალოს, ან მაჟორიტარი დეპუტატები გადავიდნენ იგივე, უმრავლესობის მხარეს და შესაბამისად, „ნაციონალური მოძრაობა“ ნელ-ნელა დაიშლება.

– არსებობს ვერსია, რომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე შეესაძლოა, ლაპარაკი იყოს მათ მიერ სხვა პარტიის შექმნაზე...

– სხვა პარტიის მშენებლობას ძალიან დიდი ჰუმანური და ადამიანური რესურსი სჭირდება. ერთი, რაც მათ შეიძლება ჰქონდეთ, ეს არის ეკონომიკური რესურსები. ადამიანურ რესურსებს ისინი ვერ მოიძიებენ, ისეთ სახეებს, რომლებიც საზოგადოების ნდობით იქნებოდნენ აღჭურვილი და შესაბამისად, სრულფასოვან პოლიტიკურ ძალას შექმნიდნენ. აქედან გამომდინარე, ახალი პარტიების ან არასამთავრობო სექტორის გაძლიერებით, როგორც უკვე გააკეთეს „ევროპული საქართველოსთვის“, ეს არის აბსურდი.

– ბიძინა ივანიშვილის პროგნოზით, შესაძლოა, საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას „ქართული ოცნება“ აღმოჩნდეს სერიოზული კონკურენტის გარეშე. ვიცით, რა მეთოდებით, მაგრამ მაინც, დღეს პარლამენტში გვყავს ძალა, რომელმაც 40% მიიღო. ამის გათვალისწინებით შესაძლებელია, მომავალი არჩევნების შემდეგ ეს ძალა ასე ვთქვათ, გაქრეს?

– ხალხის განწყობები ასე სწრაფად არ იცვლება, რადგან ამ ეტაპზე განწყობა არის „პრო-ქართული ოცნების“ და თან „ნაციონალური მოძრაობა“ ამ ხარისხითაა წარმოდგენილი როგორც ახლაა, შესაბამისად, ალბათობა იმისა, რომ „ქართული ოცნება“ უმრავლესობით მოვიდეს არჩევნებში, ძალიან დიდია.

თან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადგილობრივი არჩევნები ტარდება სოფლებში, სადაც ყველაზე უფრო მძიმე მდგომარეობაა ეკონომიკურად, სოციალურად და ა.შ. რომელიც გამოწვეულია სწორედ ნაციონალური პოლიტიკის უნიათო მმართველობით. აქედან გამომდინარე, სოფლებში, სადაც ადგილობრივ არჩევნებს დიდი მნიშვნელობა აქვს, არ მგონია, „ნაციონალურმა მოძრაობამ“



რაიმე შედეგს მიაღწიოს. აქედან გამომდინარე, „ქართული ოცნება“ რომ უმრავლესობით მოვიდეს, ალბათობა ძალიან მაღალია.

– „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში დაბრუნებაზე ლაპარაკობს, მაგრამ ექსპერტები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ არსებობს საფრთხე, პარლამენტი ოპოზიციის გარეშეც ვიხილოთ, ასეთ მოსაზრებას რამდენად აქვს საფუძველი?

– იმ სცენარით რომ განვითარდეს მოვლენები, რაზედაც ვისაუბრე - ანუ ჯერ სამართლებრივი დევნა, შემდეგ საზოგადოების მიერ ამ რეჟიმის გადაფასება, რაც კიდევ უფრო ცნობიერს გახდის რეჟიმის ხასიათს, ანუ რამდენად კაბალური და ცუდი იყო ეს, შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხება კიდევ უფრო დაასუსტებს „ნაციონალურ მოძრაობას“ და დროთა განმავლობაში უპერსპექტივობის გამო, შესაძლოა, ოპოზიციურ ძალადაც არ მოგვევლინოს პარლამენტში.

თუმცა, ეს ყველაფერი ვარაუდებია და დამოკიდებულია როგორ განვითარდება მოვლენები, რას გააკეთებს ახალი მთავრობა. ძალიან ბევრია დამოკიდებული ახალი ხელისუფლების ნაბიჯებზე, მაგრამ რაკი დიდია ანტინაციონალური ინერცია, ფატალური შეცდომები თუ არ დაუშვა ხელისუფლებამ, „ნაციონალური მოძრაობის“ რეანიმაციაზე ლაპარაკი ცოტა რთულია.

– ერთი მხარეა სამართლიანობის აღდგენა, რაც არის ქართული საზოგადოების დაკვეთა და მეორე – დასავლეთი, რომელიც შეშფოთებულია საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი პროცესებით და კოჰაბიტაციისკენ მოგვიწოდებს...

– რაც სამართლებრივ დევნას შეეხება, ანუ დასავლეთი ფიქრობს, ხომ არ შეიცავს პოლიტიკური დევნის ელემენტებსო, ამის გაქარწყლება მარტივად შეიძლება თუ დასავლეთის წარმომადგენლებს, სამართლებრივ ექსპერტებს, როგორც მათ ბიძინა ივანიშვილმა შესთავაზა, ჩამოვიყვანდით და დააკვირდებოდნენ პროცესებს. ამით გაუქარწყლებდა საქართველოს ხელისუფლება დასავლეთს ამ ეჭვებს – ასეც შეიძლება მოხდეს.

რაც შეეხება კოჰაბიტაციას, ეს არის ინსტიტუტი, რაც სხვადასხვა პოლიტიკური ძალების შეთანხმებას ნიშნავს. ამ შეთანხმების ინსტიტუციონალიზაციას სჭირდება დიდი დრო. ჩვენ არ გვქონია ამისი დრო - ფრანგებს ჰქონდათ და ამიტომ ფუნქციონირებდა ეს ინსტიტუტი.

ჩვენ ამ კოჰაბიტაციაში მოვხვდით რაღაც გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო, რაზეც არავინ არ ფიქრობდა. აქედან გამომდინარე, კოჰაბიტაციის ინსტიტუტის არსებობაზე საქართველოში ჯერ საუბარი ნაადრევია.

თან უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ერთი პარტია - გამარჯვებული პარტია – მეორეს აღიქვამს როგორც არალეგიტიმურს. ამდენად, მასთან კოჰაბიტაციას გაურბის და არ ცდილობს. ორივე პარტიას რომ ჰქონდეს განცდა, რომ ისინი არიან ლეგიტიმურები, როგორც ეს უცხოეთში ხდება ხოლმე, მაშინ, შეიძლებოდა კოჰაბიტაციაზე ფიქრი. მაგრამ როდესაც ერთი მეორეს არალეგიტიმურად აღიქვამს, მაშინ ამ კოჰაბიტაციით დადგენილი თამაშის წესებით აღარ ეთამაშება.

– რაც ხდება, ეს გასაგებია საქართველოსთვის, მაგრამ არ არის გასაგები დასავლეთისთვის. არის თუ არა ეს პრობლემა?

გარდა ამისა, დასავლეთს დღეს ძალიან უჭირს აღიარება, რომ იმ ხელისუფლების მიმართ, რომელსაც აქამდე დემოკრატიის შუქურას ეძახდა, ხალხის განწყობა თურმე სხვანაირი ყოფილა – არასწორი პერსონისა და არასწორი პოლიტიკური ძალისთვის დაუჭერიათ ამდენ ხანს მხარი.

ეს გარკვეული თვალსაზრისით, ლელვის ფოთოლს წაგავს დასავლეთისთვის – კოჰაბიტაციაზე აპელირება და სამართლებრივ დევნაზე კრიტიკული დამოკიდებულება – ვიდრე რეალური სურათის აღწერა და რეალური შენიშვნები.

– როდის შეიძლება დასავლეთი შეეგუოს იმას, რომ საქართველოს ჰყავს ახალი ხელისუფლება?

– ყველაზე საინტერესო, კარგი და მისასალმებელი ის არის, რომ ევროპა მარტო სახალხო პარტია და მემარჯვენეები არ არიან. იქ არიან მემარცხენე-პროგრესული ძალები, რომლებსაც არ მიაჩნდათ მიხეილ სააკაშვილი დემოკრატიის შუქურად.

ამდენად, სწორი დიპლომატიური პოლიტიკაა საჭირო, რომელიც დაანახვებს დასავლეთს, რომ ეს ცვლილება იყო მართლაც ხალხის სურვილი.

ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, რა ნაბიჯებს გადადგამს ახალი ხელისუფლება შიდა პოლიტიკაში და როგორ დაანახებს საერთაშორისო საზოგადოებას, რომ ეს არის მართლაც დემოკრატიულ საწყისებზე მოსული ხელისუფლება.

ლალი ზირაქიშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

უკანონოდ შეჭრილმა მოქალაქეებმა შენობები უნდა დატოვონ!

სხვადასხვა ობიექტებში უკანონოდ შეჭრილ ადამიანებს მიეცემათ გაფრთხილება, რომ დატოვონ ტერიტორია, – ამის შესახებ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა დავით დარახველიძემ განუცხადა.

მისი თქმით, დაახლოებით 20 ათასამდე ადამიანი 53 ობიექტში იყო შეჭრილი, თუმცა აქედან უკანონოდ შეჭრილი ოჯახი მხოლოდ 300-მდეა დარჩენილი.

მინისტრის განცხადებით, ყველაზე პრობლემური იყო კამოს ქუჩის შემთხვევა, სადაც დევნილთა ინტერესები უპირისპირდება ერთმანეთს და ასევე დევნილები უპირისპირდებიან მერიას.

როგორც დარახველიძემ განაცხადა, მოხდება მათი გაფრთხილება და უკანონოდ შეჭრილებმა 5 დღის განმავლობაში უნდა დატოვონ ტერიტორია, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოყენებული იქნება შესაბამისი ზომები.

– ჩვენ შევეცდებით, მივაღწიოთ მათ მშვიდობიან გამოსვლას და იმედი მაქვს, რომ აუცილებელი არ იქნება პოლიციის ჩარევა, – განაცხადა დავით დარახველიძემ. მისივე თქმით, უკანონოდ შეჭრილებთან მოლაპარაკებებში ასევე ჩართულები იქნებიან საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

უსამართლობა

პარტია „სამართლიანობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა მაია თოფურიამ ახალ გენერალურ პროკურორს საქმის გადახედვის თხოვნით მიმართა. სამი შვილის დედა მაია თოფურია, რომელიც უშიშროების ყოფილი შეფის იგორ გიორგაძის ნათესავია, 12 პირთან ერთად 2006 წლის 6 სექტემბერს დააპატიმრეს და სასჯელს 5 წლისა და 7 თვის განმავლობაში იხდიდა. იგი სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლით გაასამართლეს, რაც გულისხმობს შეთქმულებას ხელისუფლების შეიარაღებული გზით დამხობისა და ხელში ჩაგდების მიზნით.

2006 წლის ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინა პერიოდში იგორ გიორგაძის პარტია „სამართლიანობასთან“ დაახლოებული პარტიებისა და ორგანიზაციების აქტივისტები დააკავეს, თუმცა მოგვიანებით სისხლის სამართლის საქმე ხელისუფლების დამხობის მცდელობის ბრალდებით მხოლოდ 13 პირის წინააღმდეგ აღიძრა. გირაოთი იქნა გათავისუფლებული მოძრაობა „ანტისოროსის“ ლიდერი მაია ნიკოლეიშვილი, რომელმაც დანარჩენი 12 აქტივისტის წინააღმდეგ ჩვენება მისცა. მას პირობითი სასჯელი — 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. რაც შეეხება დანარჩენ დაკავებულებს, 2007 წელს თბილისის საქალაქო სასამართლომ მათ თავისუფლების 3,5-დან 8,5 წლამდე აღკვეთა შეუფარდა. მათ შორის იყო მაია თოფურიაც.

საინტერესოა, რომ სასამართლო პროცესზე, რომელზეც მაია ნიკოლეიშვილი მიიყვანეს, მას სახეზე ჰქონდა ხელი აფარებული, თავდახრილი იყო და მკვდრისფერი ედო. როდესაც გიორგაძის მომხრეებმა მისთვის კითხვის დასმა სცადეს, მან უთხრა, ძალიან ცუდად ვარ, ყველას დიდ პატივს გცემთ, მაგრამ, სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ამას ვაკეთებ და გთხოვთ, ნუ დამისვამთ კითხვებსო. მაშინ, იგორ გიორგაძის მომხრეები ფიქრობდნენ, იმის გათვალისწინებით, რომ მაია ნიკოლეიშვილის მეუღლე პროკურორი იყო, მას აუხსნეს, თუ რამდენი წელი მოუწევდა ციხეში ყოფნა და ამან იმოქმედა ნიკოლეიშვილზე. თუმცა, მაშინვე ითქვა, რომ ადამიანურად გაუგებარი იყო, მისი ჩვენების საფუძველზე ციხეში რატომ უნდა მჯდარიყო მაია თოფურია, სამი შვილის დედა, რომელთანაც ნიკოლეიშვილი მეგობრობდა.

For.ge-ს ესაუბრება მაია თოფურია.

სქელშუბლიანნი გადარჩნენ მხოლოდ!..

რატომ და რისთვის ჰყავდათ დაჭერილი სამი შვილის დედა?

— თქვენ იგორ გიორგაძის ნათესაობის გამო დაგიჭირეს?

— პარტია „სამართლიანობის“ თანათავმჯდომარე ვიყავი და ანტისოროსულ მოძრაობაშიც გახლდით გაერთიანებული. ყველაზე მეტი, რვა წელიწადნახევარი მომისაჯეს. ზოგადად, სახელმწიფო ღალატს ეძახიან, მაგრამ იქ კონკრეტულად წერია, რომ მე დამევალა ორი მინისტრის ლიკვიდაცია, რაღაც ფორმირების შექმნა და პრეზიდენტის და სპიკერის პარალიზება. ამას სახელმწიფო ღალატი და კონსტიტუციური წყობის შეიარაღებული გზით გადატრიალების მცდელობა ერქვა.

— როგორც ვიცი, ცრუმოწმეთა ჩვენების საფუძველზე გაგასამართლეს.

— დიახ, ცრუმოწმეთა ჩვენების საფუძველზე გაგვასამართლეს. შემდეგ ამერიკაში შევამოწმებინეთ ეს ჩვენება და მისი ლინგვისტური ექსპერტიზა მოვითხოვეთ. ცნობილი მეცნიერია რიჯერ შაინი, რომელმაც მიუთითა, რომ 12 კაცის ჩვენების 700 ერთეული ერთმანეთს დაემთხვა, ანუ ერთმა ადამიანმა დაწერა ეს ჩვენება და 12 ადამიანს ათქმევინეს. არაფერი არ გაითვალისწინეს, არც ის, რომ იმ დროს ზოგი საავადმყოფოში იწვა, ზოგი საზღვარგარეთ იყო გასული და ვერ შედგებოდა 4 მაისის თათბირი, რომელზეც თითქოს სახელმწიფო გადატრიალების დაგეგმვას გვაბრალებდნენ. ამიტომაც იყო დახურული ჩვენი სხდომა, რომ კურიოზები არ გამჟღავნებულიყო. მერე, ეტყობა, გონს მოეგნენ და მიხვდნენ, რომ ჩემთვის არ უნდა დაებრალებინათ ორი მინისტრის — ოქრუაშვილის და მერაბიშვილის მკვლელობის დაგეგმვა. თურმე, მე დამავალა იგორ გიორგაძემ, რომ ეს ყველაფერი უნდა დამეგეგმა, მომეწყო და განმეხორციელებინა.

— შემსრულებელი ვინ უნდა ყოფილიყო, ეს მაინც თუ არის ცნობილი?

— თითქოს, ეს უნდა განმეხორციელებინა ზოგიერთ სპეციალურად მომზადებულ ხალხთან ერთად, რომლებიც რუსეთიდან უნდა ჩამომეყვანა. ზოგადად ეწერა, რომ ვიღაცეები უნდა მიმეყვანა და ვიღაცებს უნდა განეხორციელებინათ.

— რატომ შეგარჩიეს მაინცდამაინც თქვენ? იმის გამო ხომ არა, რომ გიორგაძის ახლო ნათესავი ბრძანდებოდით?

— ერთ-ერთი იმ პარტიის თანათავმჯდომარეც ვიყავი, ამიტომაც თავიდან 60 კაცი დაგვაპატიმრეს იმ ღამეს, მაგრამ დაგვტოვეს 12, რომლებიც ამ პარტიაში საქმეს აკეთებდა — ხერხემალი რასაც ჰქვია.

— თუ გავითვალისწინებთ სოროსის გავლენას მაშინდელ ჩვენს ხელისუფლებაზე, იმ პერიოდში მოძრაობა „ანტისოროსის“ ერთ-ერთი ლიდერობა, ალბათ, თქვენთვის ხელისშემშლელი იქნებოდა.

— იმ დროს ეს საზოგადოებრივი მოძრაობა იყო და კონკრეტულად მე ვიყავი ხელმძღვანელი-მეთქი, მაგას ვერ ვიტყვი. უბრალოდ, შეკრებილები ვიყავით ამ მოვლენის მოწინააღმდეგე საზოგადოებრივი წევრები. ვაპროტესტებდით, რომ სოროსი აფინანსებდა მაშინდელ ხელისუფლებას. მაშინ ამბობდნენ, მინისტრებსაც სოროსი უხდიდა ფულს. ახლა კი იძახიან, თურმე სხვა იხდიდა ფულს, მაგრამ იმ დროს სოროსმაც ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, საქართველოს ხელისუფლებას მე ვაძლევო ხელფასებს.

— ახლაც გვეწვია სოროსი და შეხვდა ახალ თუ ძველ ხელისუფალთ.

— ეს პოლიტიკაა და ამას გვერდს ვერ ავუვლით. პრობლემა ის იყო, რომ სოროსს ამართვინებდნენ ჩვენს სახელმწიფოს. ამას ვაპროტესტებდით, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეს არ ჰქონოდა უფლება, ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარეულიყო, მინისტრებისთვის ხელფასი გადაეხადა და, ფაქტობრივად, ისინიც მისი იდეების გამტარებლები ყოფილიყვნენ. დღევანდელი გადასახედიდანაც მაშინდელი მისი როლი მიუღებელია. საერთოდ, გარე ძალების ჩარევა შიდა საქმეებში ყველა ნორმალურად მოაზროვნე ხელისუფლებისთვის მიუღებელი იქნებოდა. ვერ წარმოედგინა ვერავის, რომ ამხელა აბსურდული ბრალდების შეთითხნა, მოგონება და დაბრალება შეიძლებოდა. დრო რომ გავიდა, აზრზე მოეგნენ, პირველებმა უცხოურმა ორგანიზაციებმა გვაღიარეს პოლიტპატიმრებად. სანამ ამ ორგანიზაციებმა არ გვაღიარეს, საქართველოშიც გაუჭირდათ ამ თემაზე ხმის ამოღება. როგორც ვიცი, მაინცდამაინც არ უნდოდათ ჩვენი აღიარება. ამერიკელები სააკაშვილს საკუთარ პროექტად თვლიდნენ და არ უნდოდათ, ეს საქმე გაუღერებულიყო, რადგან უარყოფითად აისახებოდა ამ პროექტზე.

— ციხეში გატარებულ წლებს და სამი ბავშვის დატოვებას როგორ გაიხსენებთ?

— ჩემზე ფსიქოლოგიური ზეწოლა ხორციელდებოდა, რადგან თავდაპირველად 6 თვიდან 5 წლამდე მომისაჯეს, ეს მუხლი მომიყენეს და ერთ თვეში შემოვიდა გამომძიებელი ლაღაძე და მითხრა, თუ საპროცესო შეთანხმებაზე არ წავიდოდი, დამიმძიმებდნენ მუხლს. საპროცესო შეთანხმება კი ის იყო, რომ ის ბრალდება უნდა ამეღო და წამეკითხა, რასაც ჩემგან მოითხოვდნენ. ვერც ვაღიარებდი, უბრალოდ, უნდა წამეკითხა სხვისი დაწერილი. რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი და ამ უარის შემდეგ ზუსტად ერთ თვეში დამიმძიმეს მუხლი და 7-დან 15 წლამდე მომიყენეს და საბოლოოდ, რვა წელიწადნახევარი მომცეს - შვიდწელიწადნახევარი სახელმწიფო გადატრიალების გამო და ერთი წელიც იარაღის შეძენის ხელშეწყობით.

— იარაღი ნამდვილად გქონდათ?

— ეს იარაღი ამოღებული იყო ნორა კვიციანის საქმიდან, ანუ ეს არის იარაღი, რომელსაც წრეზე ატარებდნენ და ჩვენს მერე ეს იარაღი წაიღეს და სხვას მიაწერეს. თვითონ სასამართლო პროცესი უსამართლოდ ტარდებოდა. გულმოსული ყველა მოსამართლეზე ვართ, რადგან მათ აიღეს საკუთარ თავზე ამ პროცესის ჩატარება და უსამართლო დავალების შესრულება, რომელიც მათ სახელმწიფომ დაავალა. ესენი იყვნენ მარიონეტი-შემსრულებლები, იძახდნენ, ჩვენ თუ არა, ამას სხვა მაინც გააკეთებდაო. მაგრამ ყველამ თავისი პასუხისმგებლობა უნდა იტვირთოს. ამ საქმის მოსამართლე მამუკა ნოზაძე იყო.

— იგორ გიორგაძე ამ საქმეში ფიგურირებდა?

— არა, საერთოდ არ იყო. კი იძახიან, რომ მან დაგავალაო, მაგრამ ამ ნათქვამის გარდა, გიორგაძე არსად ფიგურირებდა. უმძიმესი იყო ის წუთები, წარმოიდგინეთ, ციხის კედლებში ბავშვებს რომ ხვდებით. ისინი მოდიან, თავიანთი პრობლემების შესახებ გიყვებიან და ყოველდღიურად ელოდებიან, დედას დღეს თუ არა, ხვალ გაათავისუფლებენ. ასე ხუთი წელი და შვიდი თვე გავიდა, ბოლოს, უკვე, იმდენად მძიმე იყო მათთან შეხვედრა ჩემთვისაც და ბავშვებისთვისაც, რომ მაქსიმალურად შევზღუდე ეს შეხვედრები. ისეთ სტრესულ მდგომარეობაში გამოვდიოდი, ისინიც სახლში ისეთი დამძიმებულები მიდიოდნენ, ერთ საათში უნდოდათ ყველა პრობლემის მოყოლა. ამიტომ, თვეში სამჯერ შეხვედრაზე უარი ვთქვი და მხოლოდ თვეში ერთხელ ვხვდებოდი.

— გარეთ თქვენს შვილებს პრობლემას უქმნიდნენ?

— უფროს შვილთან დაკავშირებით იყო რაღაც პრობლემები და ამის გამო საზღვარგარეთ გავუშვი, მაშინ ის უკვე 16 წლის ბიჭი იყო, პატარები კი იმდენად შეწუხებულები იყვნენ, უდიდესი სტრესი ჰქონდათ. როგორია, ტელევიზია, გაზეთები წერდნენ, დედამისი თურმე გადამტრიალებელი ყოფილა და ამათაც სტრესი გადაიტანეს.

— თქვენს საქმეში საპატრიარქო ჩაერია და თქვენი შეწყალება ითხოვა, მაგრამ ამასაც არ მოჰყოლია ყურადღებლობა.

— შეწყალება ითხოვეს. მე მითხრეს, დამეწერა შეწყალების თაობაზე, მაგრამ ჩემს სიტუაციაში, წარმოიდგინეთ, რომ დამეწერა შეწყალება და მომენანიებინა, ეს მაშინ უნდა გააკეთო, როცა ხარ დამნაშავე. სააღდგომოდ აბსოლუტურად მოულოდნელი იყო ჩემი გათავისუფლება, თითქმის შეგუებული ვიყავი იმ აზრს, რომ 8 წელიწადნახევარი ჯდომა მომიწევდა, თუ არადა, იქამდე მაინც, სანამ ახალი ხელისუფლება მოვიდოდა და შეიძლებოდა, რამე შეცვლილიყო. ზოგადად, სადაც ამდენი ადამიანია დაჭერილი, ცოტათი ყველას უფლებები ილახება, მაგრამ ჩემს მიმართ კონკრეტული ზეწოლა არ ყოფილა, ისე, როგორც მამაკაცებთან მიმართებით იყო — ცემა და მსგავსი რამ არ ყოფილა.

ახლახანს მოწმეებმა აღიარეს, რომ ჩვენს წინააღმდეგ ჩვენება ძალდატანებით მისცეს და, რომ მაშინვე უნდოდათ ამის გაკეთება, მაგრამ საშუალება არ მიეცათ. ერთი საერთოდ გახიზნეს საქართველოდან, მეორეს დაემუქრნენ. 12 მოწმე იყო სასამართლოზე და თორმეტივემ ჩვენება ჩვენს საწინააღმდეგოდ მისცა. მათ შორის, ერთი ინვალიდი იყო და პროცესების დროს გარდაიცვალა, იგი მძიმედ ავადმყოფობდა, შვილი დაუჭირეს და იმის სანაცვლოდ, ჩვენს საწინააღმდეგოდ ჩვენება მიაცემინეს. ერთმა თავი მოიკლა, სტრესს ვერ გაუძლო. ვისაც სქელი შუბლი და კანი ჰქონდა, ის გადარჩა.

მარიამ ლოლაშვილი

ალიან-ჩალიანი

მიმდინარეობს გამოძიება ჯარისკაცის გარდაცვალებასთან დაკავშირებით

თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას განცხადებით, პირველ ბრიგადაში ჯარისკაცის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს.

— ჩვენი ინფორმაციით, სამწუხაროდ, ეს იყო თვითმკვლელობა, ეს არის დიდი ტრაგედია. დეტალებს გამოძიება დაადგენს, — განაცხადა ალასანიამ.

პირველი ბრიგადის ჯარისკაცი ჯამბულატ ბლიაძე 5 დეკემბერს გარდაიცვალა. გავრცელებული ინფორმაციით, მან ავტომატის გასროლით თავი მოიკლა. ჯამბულატ ბლიაძე სამხედრო სამსახურში ერთი თვის გაწვეული იყო.

კობი-გუდაურის მონაკვეთზე მისაბმელიანი ტრანსპორტის მოძრაობა შეზღუდულია

თოვლის გამო კობი-გუდაურის მონაკვეთზე მისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა შეზღუდულია.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ყაზბეგის რაიონის მუნიციპალიტეტიდან აცნობეს, კობი-გუდაურის მონაკვეთზე 30 სანტიმეტრის სიმაღლის თოვლი დევს, რის გამოც მისაბმელიანი ტრანსპორტის გადაადგილება შეფერხებით ხდება.

თოვლი გუდაურში გუშინ მოვიდა. სხვა სახის ტრანსპორტზე გადაადგილება შეზღუდული არ არის.

გარდაბნის გამგებლის მოადგილე ჩამომხრჩვალი ნახეს

გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე მანუჩარ ჯოხაძე გუშინ საღამოს საკუთარ სახლში ჩამომხრჩვალი ნახეს .

წინასწარი ვერსიით, ადგილი აქვს თვითმკვლელობას, თუმცა, გარდაცვლილის ახლობლები თვითმკვლელობის მიზეზებზე ვერ საუბრობენ და აცხადებენ, რომ ის დღის განმავლობაში კარგ განწყობაზე იყო. მანუჩარ ჯოხაძის ცხედარი რუსთავის პროზექტურაში გადაასვენეს. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რისკები და შესაძლებლობები

ქართული პროდუქცია - რუსულ ბაზარზე

რუსეთის მთავარი სანიტარიული ექიმი გენადი ონიშჩენკო საინფორმაციო სააგენტო „ინტერფაქსთან“ საუბარში აცხადებს, რომ რუსეთი მზადაა, რუსულ ბაზარზე ქართული ღვინისა და მინერალური წყლების დაბრუნების საკითხზე საქართველოსთან მოლაპარაკებები წამოიწყოს.

სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენის თემას 10 დეკემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძეც შეეხო, რომელმაც თქვა, რომ უახლოეს მომავალში პირდაპირი დიალოგის ფორმატში დაგეგმილ პირველ შეხვედრაზე რუსულ მხარესთან ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნების შანსებზეც ილაპარაკებენ.

არის თუ არა რუსული ბაზარი განვლილი წლების შემდეგ კვლავაც საინტერესო ქართული პროდუქციისა და მისი მწარმოებლებისათვის?

გენადი ონიშჩენკომ სააგენტო „ინტერფაქსს“ განუცხადა, რომ **ამ ეტაპზე პროცესის წამოსაწყებად საჭირო დოკუმენტებს სწავლობენ და მხოლოდ ამის შემდეგ გაეგზავნებათ ქართულ კომპანიებს მოწვევები. მისივე თქმით, ქართულმა ბიზნესასოციაციებმა და ცალკეულმა ბიზნესმენებმა რუსეთის ფედერალურ სამსახურს ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნების თხოვნით უკვე მიმართეს, თუმცა, ჯერჯერობით, კონკრეტული შეთანხმება მიღწეული არ არის.**

კონკრეტულ შეთანხმებებს რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძის, რუსეთის მხრიდან კი, სავარაუდოდ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის არაფორმალური შეხვედრის შემდეგ უნდა დაველოდოთ. შეხვედრა უახლოეს დღეებში უნდა გაიმართოს. 10 დეკემბერს ზურაბ აბაშიძემ საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა რუსეთთან არ გულისხმობს მხოლოდ ქართული ღვინის ან მინერალური წყლის ექსპორტს რუსეთში: **„სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა გულისხმობს ბორჯომის, ლიმონათის, ღვინის და ყველა იმ საექსპორტო პროდუქციის დაბრუნებას რუსეთის ბაზარზე, რაც ადრეც გადიოდა. აქვე მინდა, შეგახსენოთ, რომ საქართველომ შარშან მხარი დაუჭირა რუსეთის გაწევრებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და ახლა უკვე რუსეთის საერთაშორისო ვალდებულებაც არის, რომ თავის მეზობლებთან, კერძოდ კი, საქართველოსთან ჰქონდეს ცივილიზებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები“.**

ორი ქვეყნის მთავრობების პოლიტიკური ნების გარეშე ცალკეული ჩინოვნიკების განცხადებებს შედეგი, როგორც წესი, არ მოაქვს, ამბობს რადიო თავისუფლებასთან საუბარში კომპანია „სარაჯიშვილის“ დამფუძნებელი ელგუჯა ბუბუტეიშვილი. **კომპანია „სარაჯიშვილმა“ რუსეთის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სააგენტო „როსპოტრებნადზორს“ რუსულ ბაზარზე პროდუქციის დასაბრუნებლად პირველად 2006 წელს, მეორედ კი 2011 წელს მიმართა. ელგუჯა ბუბუტეიშვილი ამბობს, რომ მისი კომპანიის პროდუქციამ შემოწმება გაიარა, თუმცა, პროცესი პოლიტიკური ნების არარსებობის გამო წინ არ წასულა.**

„ჩვენს პროდუქციას ექსპერტიზაც ჩაუტარდა, ყველა საფეხური გავიარეთ. მთავარია, გადაწყვეტილება მიიღონ, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ვაჭრობა აღდგეს. მე ვფიქრობ, რომ დღეს ქართულ მეღვინეობას ბევრად დიდი პერსპექტივა აქვს, ვიდრე ადრე ჰქონდა, მაგრამ რა იქნება, ხვალინდელ დღეზეა დამოკიდებული. ისე, ჩვენ დიდად არ ვნერვიულობთ, რადგან კონიაკის სპირტი რაც ძველდება, მით უფრო ძვირდება“.

მცირე და საშუალო ბიზნესასოციაციის პრეზიდენტი კახა კოხრეიძე მიიჩნევს, რომ რაც მეტი იქნება ქართული წარმოების პროდუქციის ექსპორტი რუსულ ბაზარზე, მით მეტ სარგებელს ნახავენ საქართველოში მოქმედი კომპანიები, თუმცა, რუსული ბაზრის გახსნას წინ ეკონომიკური ანალიზი უნდა უძღოდეს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რუსეთის ბაზარზე დასავლური ბაზრისგან განსხვავებული მარკეტინგული კამპანია იქნება საჭირო. მიზეზები მარტივია — ევროკავშირის ქვეყნები, ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი განსხვავებული რეგულაციებით ხელმძღვანელობენ, გვეუბნება კახა კოხრეიძე. რუსეთს, როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრს, მოუწევს დაექვემდებაროს საერთაშორისო სტანდარტებს, რაც, კოხრეიძის აზრით, საქართველომ დროულად უნდა გამოიყენოს, რათა ქართულ კომპანიებს ექსპორტის საშუალება მიეცეთ. რაც შეეხება რისკებს, თუ რუსეთმა საქართველოსთვის ბაზარი გახსნა: მე ვფიქრობ, რომ ამ ტიპის პროდუქციისთვისაც არის რუსეთის ბაზარზე ადგილი, მაგრამ იქ უფრო მეტად იქნება, ალბათ, იმგვარ პროდუქციაზე მოთხოვნა, რაც ადრე გადიოდა, ვგულისხმობ ფასზე ორიენტირებულ, შედარებით დაბალი ხარისხის პროდუქციას, — კახა კოხრეიძე. **„ეს ავტომატურად არ გულისხმობს პრობლემების მყისიერად მოგვარებას, რადგან დამატებით ბევრი სამუშაო იქნება თითოეული პროდუქციის შემთხვევაში არსებული ხელოვნური ბარიერების აღმოსაფხვრელად და იმისთვის, რომ ქართულ კომპანიებს მიეცეთ თავისუფალი კონკურენციის საშუალება. ზოგადად, მარკეტინგის საკითხები ბაზრის თემაა, ამაში სახელმწიფო ვერც ჩაერევა. ერთადერთი, შესაძლოა, გარკვეული პროგრესული ნაბიჯები გადაიდგას ექსპორტის სტიმულირებისთვის“.**

თუმცა, კახა კოხრეიძე იმასაც შენიშნავს, რომ რუსეთის ბაზრის დახურვის შემდეგ ქართულმა კომპანიებმა ალტერნატიული გასაღების ბაზრები მოძებნეს ევროკავშირის ქვეყნებში, კანადასა და ამერიკაში, სადაც ხარისხის გაუმჯობესება და გაცილებით მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილება მოუხდათ. შესაბამისად, ეს კომპანიები ამ ბაზრებს არ დატოვებენ, ფიქრობს კახა კოხრეიძე: **„მე ვფიქრობ, რომ ამ ტიპის პროდუქციისთვისაც არის რუსეთის ბაზარზე ადგილი, მაგრამ იქ უფრო მეტად იქნება, ალბათ, იმგვარ პროდუქციაზე მოთხოვნა, რაც ადრე გადიოდა, ვგულისხმობ ფასზე ორიენტირებულ, შედარებით დაბალი ხარისხის პროდუქციას. ეს უკვე კონკრეტული კომპანიების გადასაწყვეტია — თუ მათ აქვთ შესაძლებლობა, რომ გამოუშვან მეტი პროდუქცია, ოღონდ ნაკლები ხარისხით, თან ისეთი, რომ იყოს გასაღებადი რუსეთის ბაზარზე, ეს შესაძლებლობა მათ, ცხადია, შეუძლიათ გამოიყენონ. მაგრამ არა მგონია, რომ ვინმემ გადაწყვიტოს უკვე ათვისებული დასავლეთის განვითარებული ბაზარი ჩაანაცვლოს რუსეთის ბაზრით“.**

„ახალი ეკონომიკური სკოლა — საქართველოს“ პრეზიდენტი პაატა შეშელიძე კი ფიქრობს, რომ **ქართული კომპანიებისათვის რუსულ ბაზარზე შესვლა რისკის შემცველი იქნება მანამ, სანამ რუსეთს საქართველოსთან პოლიტიკური საკითხები ექნება გასარკვევი.**

პაატა შეშელიძის ვარაუდით, **რუსული ბაზრის გახსნის შემთხვევაშიც ის ხელმისაწვდომი იქნება მსხვილი კომპანიებისათვის, რომლებსაც ხარისხის სერტიფიკატის წარმოდგენა შეუძლიათ. შესაბამისად, შეცვლილი რეალობა ვერ დააიმედებს მათ, ვისაც წლების წინათ საკუთარი მოყვანილი პროდუქციით მანქანის დატვირთვა და რუსეთში გასაყიდად წაღება შეეძლო.**

ეკა ქევანიშვილი,
რადიო „თავისუფლება“

◎ სატყეო მეურნეობა

ბრაკონიერებს — საახალწლო ბოიკოტი

ხე-ტყის უკანონო, მეტიც, ვიტყოდი ბარბაროსულმა ჭრამ საქართველოში ბოლო ათეული წლების მანძილზე არნახულ მასშტაბს რომ მიაღწია, ამის თაობაზე ქვეყანამ იცის — ამ უმტკივნეულეს თემას არაერთი ათეული ტელეგადაცემა, რადიოსიუჟეტი თუ საგაზეთო პუბლიკაცია მიეძღვნა, თუმცა კი საქმეს, არსებითად, არა და არ ეშველა. უბედურება ისაა, რომ ამ დრომდე ყველა ხელისუფლება ამ უმწვავეს პრობლემას, რომ იტყვიან, „ცალყბად“ კი აღიარებდა, თითქოს გარკვეულ საკანონმდებლო და სხვა ზომებს მიმართავდა, თუმცა კი მეორე მხრივ, საზოგადოებრივი ყურადღებისთვის მიუწვდომლად, კვლავ ბუნებრივი სიმდიდრის გაჩანაგება-მოსპობას განაგრძობდა.

ტყეებისადმი, ზოგადად, ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრისადმი არა მარტო გულგრილი, არამედ, არ მოვერიდები ამის თქმას, დანაშაულებრივი მიდგომის მკაფიო აგალითია, თუნდაც წინა ხელისუფლების მიერ ინსპირირებული კანონი, რომლითაც გარემოს დაცვის უმნიშვნელოვანესი ფუნქციის უდიდესი ნაწილი მისთვის ზიანის ერთ-ერთ მთავარ პოტენციურ მიმყენებელ უწყებას — ენერგეტიკის სამინისტროს გადაეცა, რომელიც, ამ აქტით, ფაქტობრივად, საკუთარი თავის მაკონტროლებელიც გახდა!

თუ რა დღეშია ჩვენი ტყეები, კერძოდ, ჩვენი ბუნების ჭეშმარიტი მარგალიტი ბორჯომის ხეობა, ამაში რამდენიმე ხნის წინათ იქ ყოფნისას დავრწმუნდი. პირადად მე, ისევე, როგორც, დარწმუნებული ვარ, მრავალ ჩვენს თანამემამულეს (და, ალბათ, არა მარტო მათ) ბავშვობაშიც, მერეც, არაერთხელ გაგვიტარებია ზაფხულის თუ ზამთრის მრავალი დღე ამ, მართლაც რომ, სილამაზითა და დიდებული სანახებით, ფლორითა და ფაუნით, სამკურნალო წყლებით სახელგანთქმულ მხარეში. მით უმეტეს შოკის მომგვრელი იყო ახლა, დიდი ხნის პაუზის შემდეგ, იქაურობის ნახვა, როცა ხეობას ფაქტობრივად მთელი ფონდის, უნიკალური ჯიშების განადგურების საფრთხე ემუქრება. ადრეც მითქვამს და ახლა გავიმეორებ: თუკი ქვეყანას მერქნის დამზადების ასეთი დიდი პოტენციალი აქვს, რაღა საკურორტო ზონებში ჭრით საუკუნოვან, უნიკალური ჯიშების ხეებს და ნახევრად დამუშავებული, თუ სულაც დაუმუშავებელი გაგვაქვს საზღვარგარეთ, მოდით და ჯერ გზები გაიყვანეთ იმ მიუვალ ადგილებში, სადაც, როგორც გვარწმუნებენ, ხე-ტყის დამზადება სავსებით დასაშვებია, სახერხებიც იქა ააშენეთ, მერე კი მერქნის დამმუშავებელი და ავეჯის ფაბრიკები ააგეთ და ისე გაიტანეთ უცხოეთში, თავადაც მეტი მოგება ნახეთ, ბუნებაც დაზოგეთ და ბიუჯეტიც გააძლიერეთ. მაგრამ არა, საამისოდ ხომ ინვესტიციების მოზიდვაა საჭირო და მესაკუთრეთა უფლებების დაცვა, რაც განუკითხაობის ჟამს წარმოუდგენელი რამაა.

თავის დროზე მიღებული კანონი, რომლითაც საქართველოდან დაუმუშავებელი ხის მასალის გატანა (ანუ მორების) აიკრძალა, ისევე, როგორც მრავალი სხვა, ჩვენში „სანახევროდ“ მუშაობს, თანაც იმდენი ხვრელი აქვს, რომ მავანთ, პრაქტიკულად, ბუნების გაპარტახებაში (ისევ, როგორც თითქმის ყველაფერი ეროვნულის) ხელს არაფერში უშლით.

მახსოვს, ერთ-ერთ შარშანდელ საგაზეთო პუბლიკაციაში სატყეო დარგის რომელიღაც ექსპერტის „კომპეტენტური“ მოსაზრება წავიკითხე, თითქოსდა საქართველოს ტყეების, რომლებსაც ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 2,81 ათასი კვადრატული კილომეტრი უჭირავს, 65 პროცენტი ან დაცულ ტერიტორიებზეა, ან მაღალ მთიანეთში, სადაც მერქნის მოჭრა და, მით უმეტეს, მისი გამოტანა, ძალიან ძნელია მიუვალობისა და გზების უქონლობის გამო, ამიტომაც ჩეხავენ იმას, რაც „აქვეა“, ხელის გაწვდენაზე, მერე რა იქნება, ახლა რა სადარდებელიაო...

ამასთან, ცალკეა აღსანიშნავი ისიც, რომ ბოლო დრომდე, კარგა ხნის მანძილზე, საქართველოდან უცხოეთში დაუმუშავებელი ხე-ტყის მოცულობა განუხრელად იზრდებოდა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2001-07 წლებში დაუმუშავებელი ხის მერქნის ექსპორტი გამუდმებით იზრდებოდა. კერძოდ, თუ 2001 წელს მისი მოცულობის ფასი 4 მილიონ დოლარს უმნიშვნელოდ აჭარბებდა, 2007 წლის დამლევისთვის იგი 21,5 მილიონ დოლარს გადასცდა, ანუ ხუთზე მეტჯერ გადააჭარბა. ეს, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ ყოველწლიურად იგი თითქმის 40 პროცენტით მატულობდა! სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ 2008 წელს იგი შემცირდა, თუმცა კი უმნიშვნელოდ, ამის მიზეზი იმდროინდელ ცნობილ უმძაფრეს ტრაგიკულ მოვლენებში უნდა ვეძიოთ. ეს ტენდენცია 2009-10 წლებში გაგრძელდა, კერძოდ, 2009 წელს ქვეყნიდან 14,3 მილიონი დოლარის, 2010-ში 7,7 მილიონი დოლარის, ხოლო 2011-ში — 9,3 მილიონ დოლარის ღირებულების დახერხილი ან დაპობილი ხის მასალა გაიტანეს, ხოლო შარშან კვლავ ზრდის ტენდენცია აღინიშნა. მთლიანად კი 2000-11 წლებში ქვეყნიდან ამ სახის დაახლოებით 143,2 მილიონი დოლარის ღირებულების ხე-ტყეა ექსპორტირებული.

სპეციალისტების გაანგარიშებით, **ყოველწლიურად საქართველოში, საშუალოდ, 70 ათასი კუბური მეტრი ხის მერქანი იჭრება.** ექსპორტში, რომელსაც ქვეყნის ფარგლებს გასული საქონლის ნუსხაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ხე-ტყის მასალა, უმეტესწილად 6 მილიმეტრზე მეტი სისქის გასწვრივ დახერხილი ან დაპობილი მასალაა.

სევდიანი სტატისტიკით წინასაახალწლო გუნების გაფუჭება არავისთვის მინდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტი ფაქტად რჩება. ეროვნულ სიმდიდრეს — ტყეს, აუცილებლად მოვლა-პატრონობა სჭირდება, თორემ ამ პოსტულატის უგულებელყოფას დიდი ზარალის მოტანა და უბედურება რომ მოყვება, ყველამ კარგად ვიცით. თანაც, საახალწლოდ, ბევრი ნორჩი ნაძვიც ხომ აუცილებლად შეეწირება ბუნების სადღესასწაულოდ მორთვას, რასაც ხშირად, მართლაც რომ, უგუნური, მაგრამ, სამწუხაროდ, უკიდურესად გაჭირვებული ხალხი სჩადის. რით შეგვიძლია ჩვენ, მოქალაქეებს ამ შემთხვევაში ტყისა და სამართლის დამცველებს დავეხმაროთ? რით და, მოდით, ნუ შევიძენთ ულიცენზიოდ მოჭრილ ხეებს, რითაც სხვა დროს ბრაკონიერებს ამის გაკეთების სურვილს დავუკარგავთ.

ოთარ ტურაბელიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

უწესრიგობებს პოლიტნაიაზე გივი თარგამაძე ხელმძღვანელობდა

რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა განაცხადა იმის შესახებ, რომ მას აქვს მასალები იმასთან დაკავშირებით, რომ ქართველ პოლიტიკოსს გივი თარგამაძეს ჰქონდა არა მხოლოდ კონტაქტები რუსეთის ოპოზიციის ლიდერებთან, არამედ უშუალოდ ხელმძღვანელობდა მათ მოსკოვში 6 მაისის მილიონთა მარშზე.

როგორც რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვლადიმირ მარკინმა განაცხადა, „ამ მასალებში არის დადასტურებანი, რომლებიც მიუთითებენ არა მხოლოდ რუსეთის ოპოზიციის დაფინანსებას გივი თარგამაძის მხრიდან, არამედ მის კონკრეტულ როლზეც ბოლოტნაიას მოედანზე მასობრივი უწესრიგობის ორგანიზაციაში მოსკოვში მილიონების მარშის განხორციელების დროს“.

საგამოძიებო კომიტეტი უახლოეს პერიოდში გაგზავნის საქართველოში მოთხოვნას საქმის გამოძიებაში სამართლებრივი დახმარების შესახებ, დაუმატა მარკინმა.

სისხლის სამართლის საქმე მასობრივ უწესრიგობათა მომზადების შესახებ აღიძრა ტელეარხ „ნტვ“-ზე ფილმის „პროტესტის ანატომია-2“ გამოსვლის შესახებ, რომლის ავტორებიც ამტკიცებენ, რომ რუსეთის ოპოზიცია ამზადებდა ხელისუფლების ძალით ხელში ჩაგდებას რუსეთში უცხოური ფულით.

„გამომძიებლები, რომლებიც აღძრავდნენ საქმეს მასობრივი უწესრიგობების მომზადების შესახებ, თავდაპირველად მიიჩნევდნენ, რომ პროტესტის მიღმა წამქეზებლები იდგნენ. და დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის ამოცანა ამჟამად არის — გავიდეს პროტესტის დამკვეთებზე. იდეის მიხედვით, ისინი უნდა ყოფილიყვნენ რუსეთის პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერები“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში სამართალდაცვის ასოციაცია „აგორას“ ხელმძღვანელმა და ადამიანის უფლებების პრეზიდენტის საბჭოს წევრმა პაველ ჩიკოვმა.

ოთხშაბათს პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, რომ ის ხალხი, ვინც ღებულობს დაფინანსებას უცხოური ფონდებიდან და „ემსახურებიან სხვა მთავრობათა ინტერესებს“, არ შეიძლება იყვნენ პოლიტიკოსები რუსეთში.

საქმე თარგამაძის შესახებ

თეზისი რუსეთის ოპოზიციის დაფინანსების შესახებ ქართველი პოლიტიკოსის გივი თარგამაძის მიერ — „პროტესტის ანატომია-2“-ის ერთ-ერთი ცენტრალური მომენტია.

ფილმის მასალების მიხედვით, რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა აღძრა საქმე „მოსკოვის ტერიტორიაზე და რუსეთის ფედერაციის სხვა რეგიონებში მასობრივი უწესრიგობების ორგანიზაციის მომზადების ფაქტთან დაკავშირებით“.

ამ საქმესთან დაკავშირებით ბრალდებულები არიან სახელმწიფო დუმის დეპუტატის ილია პონომარიოვის თანაშემწე კონსტანტინ ლებედევი და „მემარცხენე ფრონტის“ აქტივისტი ლეონიდ რაზვოზჟაევი. „მემარცხენე ფრონტის“ ლიდერი სერგეი უდალცოვი ხელწერილით გაუსვლელობის შესახებ იმყოფება ეჭვმიტანილის სტატუსით.

ბი-ბი-სის რუსულ სამსახურთან ინტერვიუში სამართალდაცვითი ასოციაციის „აგორას“ ხელმძღვანელი პაველ ჩიკოვი ვარაუდობდა, სასჯელი შეიძლება მოითხოვონ ბრალდებისთვის, თუ საქმე სასამართლომდე მივა.

„მე ვფიქრობ, რომ რუსეთის საგამოძიებო კომიტეტს სურს, რომ ორგანიზატორებმა მიიღონ ორჯერ მეტი სასჯელი, ვიდრე 6 მაისს მიტინგში მონაწილე ლუზიანინმა, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინათ 4,5 წლის ციხე მიუსაჯეს“, — მიაჩნია ჩიკოვს.

სამართალდამცველი დარწმუნებულია, რომ საპროტესტო აქციებს მოსკოვში ხალხი გარედან ვერ წარმართავდა. „შეიძლება უნდოდათ კიდეც, მაგრამ არ შეეძლოთ — ერთობ მასშტაბური და მასობრივი იყო პროტესტი“, — თქვა ჩიკოვმა ჩვენთან საუბარში.

ოქტომბერში საგამოძიებო კომიტეტმა გამოაცხადა, რომ რაზვოჟზაევმა დაწერა აღიარება ბრალდებით, სადაც დაწვრილებით იტყობინება თავის, უდალცოვის, ლებედევისა და სხვა პირების მიერ მასობრივი უწესრიგობების მომზადების ვითარებათა შესახებ რუსეთის ქალაქებში და მოსკოვში 6 მაისს ბოლოტნაიას მოედანზე.

თუმცა, მოგვიანებით მან თავისი ჩვენებები უარყო, განაცხადა, რომ დაწერა ისინი წამების ქვეშ.

სამშაბათს რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა განაცხადა, რომ „წინასწარი გამოძიების დროს მოგროვდა მასალები, რომლებიც ადასტურებენ გივი თარგამაძის მიერ უდალცოვის, რაზვოჟზაევის, ლებედევის დაფინანსების ფაქტს რუსეთის ფედერაციაში მასობრივი უწესრიგობების ორგანიზაციისთვის“.

ახალი ჩხრეკა

იმავე დღეს მოსკოვში და ნიჟნი ნოვგოროდში მოხდა რუსეთის ოპოზიციურ მოძრაობათა — „სოლიდარნოსტის“ და „დრუგაია როსიას“ — აქტივისტების ბინების ჩხრეკა.

გამოძიებას მიაჩნია, რომ ბრალდებულები მონაწილეობდნენ სემინარში, რომელიც გაიმართა ლიტვაში და „მიძღვნილი იყო ხელისუფლების ხელში ჩაგდებისადმი „ფერადი“ რევოლუციების მაგალითით, რაც ადრე სხვა ქვეყნებში მოხდა“.

„სოლიდარნოსტის“ წარმომადგენლები ამ ვარაუდს უსაფუძვლოს და მოგონილს უწოდებენ.

„ნებისმიერი უდანაშაულოდ ჩადენილი მოქმედება შეიძლება იქნეს დასახელებული, როგორც ბრალდება, რათა დაადასტურონ გამოძიების სურათი რაიმე კრიმინალურით. არანაირი გონივრული საფუძველი ჩხრეკისთვის არ ყოფილა“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში „სოლიდარობის“ წარმომადგენელმა სერგეი დავიდისმა.

რაც შეეხება სემინარს ლიტვაში, ეს იყო სემინარი მეთვალყურეებისთვის არჩევნებზე, განაცხადა დავიდისმა.

BBC RUSSIAN.com

ირაკლი ოქრუაშვილს ბრალდებები გაუმრავლეს

საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრს ასამართლებენ რამდენიმე მუხლით. თბილისის საქალაქო სასამართლომ უარი უთხრა აღმკვეთი ღონისძიებების შეცვლაზე საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს. საქმე ერთბაშად ორი ბრალდებით მიმდინარეობს — უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნისა და სამსახურებრივი გულგრილობისთვის. ამავე დროს პოლიტიკოსი, რომელიც თავის დროზე სკანდალით გადავიდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ოპოზიციაში, უკვე იხდის თერთმეტწლიან ვადას მესამე საქმეზე — გამოძალვაზე.

ამჯერად, ირაკლი ოქრუაშვილის ადვოკატები მიმართავდნენ სასამართლოს უხარისხო საბრძოლო იარაღის შესყიდვის საქმესთან დაკავშირებით. გამოძიების მონაცემებით, 2005 წელს, როდესაც ოქრუაშვილი სათავეში ედგა თავდაცვის სამინისტროს, სამხედრო უწყებამ ავტომატური იარაღისთვის შეიძინა ტყვია-წამლის დიდი პარტია. მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ მათგან 500 ათასი „გამოუსადეგარი იყო გამოყენებისთვის“.

თავად ირაკლი ოქრუაშვილი ბრალდებას უარყოფს, მისი ადვოკატები კი სასამართლო მოსმენის დროს მოითხოვდნენ თავდაცვის სამინისტროს არქივიდან შესაბამისი დოკუმენტაციის ამოღებას გაცნობისთვის. მაგრამ სასამართლომ მათ შუამდგომლობაზე უარი უთხრა, მიუთითა მონაცემების საიდუმლოებაზე. არ დააკმაყოფილეს თხოვნა აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის შესახებ ამ საქმესთან დაკავშირებით. როგორც თბილისის სასამართლომ მიიჩნია, მოწმეები ჯერ კიდევ არ დაკითხულან და არსებობს იმის საფრთხე, რომ მათზე განხორციელდება ზემოქმედება.

შესაძლებელია, მოსამართლის გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონია ამ ცოტა ხნის წინანდელმა სკანდალმა, რომელიც დაკავშირებულია თავდაცვის სხვა მინისტრის ბაჩო ახალაიას მიერ უხარისხო იარაღის შესყიდვასთან. საფინანსო პოლიციამ დაადგინა, რომ 2008 წლის ომის შემდეგ თავდაცვის უწყებამ შეისყიდა კალაშნიკოვის ნახმარი ავტომატების პარტია თითოეული 200 ევროდ, მაშინ, როდესაც, ექსპერტების აზრით, მათი ფასი 50-70 ევროს არ აჭარბებდა. საქართველოს პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა პირადად გამოხატა აღშფოთება „წინა ხელისუფლების უპასუხისმგებლობისა და მფლანგველობის გამო“, მაგრამ ექსმინისტრმა ახალაიამ ციხიდან დაწერა წერილი, სადაც მიუთითა: ნახმარი ავტომატების გარდა თავდაცვის სამინისტრომ მაშინ ერთ-ერთ ქვეყანაში იყიდა სხვა იარაღიც, მაგრამ, გამყიდველების თხოვნით, ვისაც არ სურდა გაეფუჭებინა ურთიერთობა მოსკოვთან, გაფორმა მხოლოდ ავტომატების შესყიდვა.

შეგახსენებთ, რომ ირაკლი ოქრუაშვილი მხოლოდ ნოემბრის ბოლოს დაბრუნდა სამშობლოში საფრანგეთიდან, სადაც მას პოლიტიკური თავშესაფარი ჰქონდა. იგი დაუყოვნებლივ დააპატიმრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 28 მარტის გადაწყვეტილების საფუძველზე, დაუსწრებლად მიუსაჯეს 11 წლის თავისუფლების აღკვეთა „ განსაკუთრებით დიდი ოდენობით მექრთამეობისთვის და გამოძალვისთვის“.

ამჟამად პოლიტიკოსის დაცვა ცდილობს, ჩაშალოს სწორედ ეს საქმე, არცთუ უსაფუძვლოდ იმის იმედით, რომ წარმატება ამ მიმართულებით წინასწარ განსაზღვრავს მათი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლებას სხვა სისხლის სამართლის საქმეებზე. მოლოდინი არ არის უნიადაგო: წინადღით ბრალდების მთავარმა მოწმემ, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ყოფილმა ხელმძღვანელმა დიმიტრი ქიტოშვილმა, რომელიც 2008 წელს იძლეოდა ჩვენებებს ოქრუაშვილის წინააღმდეგ, განაცხადა, რომ პროკურატურის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ აიძულა იგი, ბრალი დაედო თავდაცვის ექსმინისტრისთვის და იგი საერთოდ არ სძალავდა ბიზნესმენ ჯემალ სვანიძეს „ჯეოსელის“ ოპერატორის აქციების წილს.

Коммерсантъ

დედამიწის ზურგზე

ფილიპინებზე ტაიფუნის მსხვერპლთა ოდენობამ 900 კაცს გადააჭარბა

კიდევ 615 კაცი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება, მათი ძებნა გრძელდება. სამაგიეროდ შეძლეს, გადაერჩინათ დაახლოებით 300-მდე მებადური, რომლებიც გავიდნენ ზღვაში სტიქიის დარტყმამდე, იტყობინება ადგილობრივი ხელისუფლება.

* * *

ნახევარი საუკუნის შემდეგ ამერიკაში „თეთრი უმრავლესობა“ გაქრება

ამ, შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ დომინირებული, რასიის წარმომადგენელთა რიცხოვნობა თავის პიკს 2024 წელს მიაღწევს, შემდეგ კი დაიწყება მისი განუხრელი შემცირება. 2060 წლისთვის თეთრების წილი ამერიკელთა შორის დღევანდელი 64 პროცენტიდან შემცირდება 43 პროცენტამდე, „ფერადი“ მოსახლეობის წილი კი გაიზრდება 37-დან 57 პროცენტამდე.

* * *

კალიფორნიაში იკვლევენ „ჯადოქრული“ თვითმკვლელი კალმარების შემოსევას

ჯერ კიდევ 1990-იანი წლების ბოლოს პუმბოლდტის კალმარებმა დატოვეს მონტერეის ყურე და მას შემდეგ ისინი აქ თითქმის არ უხილავთ. სამაგიეროდ, ამ წლის ბოლოს ისინი უკვე მესამედ ახორციელებენ მასობრივ თვითმკვლელობას. სიცოცხლე სულაც არ უნდათ: ხალხი ცდილობდა ჯერ კიდევ ცოცხალი კალმარების ზღვაში გადაყრას, მაგრამ ისინი დაბეჯითებით მოდიოდნენ ნაპირისკენ.

* * *

ასანჟს მტკიცედ აძვს გადაწყვეტილი, კენჭი იყაროს ავსტრალიის სენატში

მას განზრახული აქვს აგრეთვე ავსტრალიაში შექმნას პარტია „ვიკილიკსი“. ადგილობრივი კანონებით, მისი რეგისტრაციისთვის აუცილებელია, რომ პარტიაში შესვლის სურვილი გამოთქვას სულ ცოტა 500-მა დარეგისტრირებულმა ამომრჩეველმა. აქ პრობლემა არ გაჩნდება, ირწმუნება ასანჟი: ბევრი პატივცემული ავსტრალიელი ინტერესს ამჟღავნებს მისი პარტიისადმი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შპს აუდიტორული ფირმა „მრჩეველი“
საქართველო, ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. №11
ტელ.: 998855, 367999

აუდიტორული დასკვნა

შპს „ნოვა კრედიტის“ 2010 წლის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობის შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ **„ნოვა კრედიტის“**-ს თანდართული ბუღალტრული ბალანსის აუდიტი 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშის აუდიტი იმ საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით. ფინანსურ და საგადასახადო აღრიცხვაზე პასუხისმგებელია საზოგადოების ხელმძღვანელობა (საზოგადოების დირექტორია მელორ ასათიანი), ჩვენ კი გვევალება ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგებების შესახებ.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენს მიერ აუდიტი იმგვარად იყო დაგეგმილი და ჩატარებული, რომ წარმოდგენილ პირველად დოკუმენტებზე დაყრდნობით მიგვეღო დასაბუთებული გარანტია იმისა,შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგებები არსებით უზუსტობებს. ჩატარებული აუდიტის დროს შესწავლილი იქნა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები, მათი შესაბამისობა საქართველოში მოქმედ ბუღალტრული აღრიცხვის ნორმებთან და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორე. აუდიტური შემოწმება დაეყრდნო „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

ჩვენი აზრით, ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგებები უტყუარად და სამართლიანად ასახავს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობას 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და რომელიც შედგენილია არსებითი ხარვეზების გარეშე საქართველოში მოქმედ ნორმატიული აქტების მიხედვით.

შპს აუდიტორული ფირმა
„მრჩეველი“-ს აუდიტორი ნაირა ლობჯანიძე

ქ. თბილისი, 01.04.2011 წ

ნაერთი ბალანსი
01/01/2011 ექვ.

ბალ.#	ნაშთი დებ.	ნაშთი კრედ.	აქტ.პას (#)	დასახელება
	3 541 674,88	3 541 674,88		
1703	0,02	0	ა	მიმდინარე ანგარიშები რეზიდენტ კომერციულ ბანკებში
1713	350 478,18	0	ა	მიმდინარე ანგარიშები რეზიდენტ კომერციულ ბანკებში
2503	130	0	ა	ავანსები
2511	1 418 240,00	0	ა	დებიტორები
2541	223,5	0	ა	სამეურნეო მასალები (მარაგი)
2601	1 768 718,18	0	აპ	საგალუტო პოზიციის კონტრაგენტები
2611	0	1 768 718,18	აპ	საგალუტო პოზიცია
2903	1 500,00	0	ა	კომპიუტერული ტექნიკა და საკომუნიკაციო მოწყობილობები
2905	2 385,00	0	ა	აუეკი და მოწყობილობები
4501	0	103,58	პ	კრედიტორები
4559	0	19,33	პ	დანარჩენი გადასახდელი გადასახადები
4903	0	2,47	პ	კომპიუტერული ტექნიკის და საკომუნიკაციო მოწყობილობების ცვეთა
4905	0	15,92	პ	აუეკის და მოწყობილობების ცვეთა
5006	0	1 765 300,00	პ	მეკრო საფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალი
5501	0	7 515,40	აპ	საანგარიშგებო წლის მოგება (ზარალი)

შპს აუდიტორული ფირმა „მრჩეველი“
საქართველო, ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. №11
ტელ.: 998855, 367999

აუდიტორული დასკვნა

შპს „ნოვა კრედიტის“ 2011 წლის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობის შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ **„ნოვა კრედიტის“**-ს თანდართული ბუღალტრული ბალანსის აუდიტი 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშის აუდიტი იმ საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით. ფინანსურ და საგადასახადო აღრიცხვაზე პასუხისმგებელია საზოგადოების ხელმძღვანელობა (საზოგადოების დირექტორია მელორ ასათიანი), ჩვენ კი გვევალება ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგებების შესახებ.

ქ. თბილისი, 10.04.2012 წ

ნაერთი ბალანსი 01/01/2012 ექვ.

ბალ.#	ნაშთი დებ.	ნაშთი კრედ.	აქტ.პას(#)	დასახელება
	5 707 316,12	5 707 316,12		
1001	199,1	0	ა	სალარო
1703	9 309,71	0	ა	მიმდინარე ანგარიშები რეზიდენტ კომერციულ ბანკებში
1713	115 057,61	0	ა	მიმდინარე ანგარიშები რეზიდენტ კომერციულ ბანკებში
1811	1 856 921,31	0	ა	ფიზიკური პირებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები
1812	103 558,60	0	ა	ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს კლიენტებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები
1861	517 992,74	0	ა	ფიზიკური პირებისათვის მიცემული გრძელვადიანი სესხები
1862	27 114,05	0	ა	ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს კლიენტებისათვის მიცემული გრძელვადიანი სესხები
1911	429 580,68	0	ა	ფიზიკური პირებისათვის მიცემული სესხების ვადაგადაცილებული დაუფლიანება
1912	3 061,13	0	ა	კომერციული პირებისათვის მიცემული სესხების ვადაგადაცილებული დაუფლიანება
2415	82 372,73	0	ა	მოსაღები პროცენტები კლიენტებისათვის მიცემული სესხების მიხედვით
2419	5 576,12	0	ა	მოსაღები პროცენტები დანარჩენი ოპერაციების მიხედვით
2503	16 804,94	0	ა	ავანსები
2506	277 925,96	0	ა	გირაოში დარჩენილი უძრავი ქონება
2513	20 644,91	0	ა	ავანსები
2541	1 510,60	0	ა	სამეურნეო მასალები (მარაგი)
2559	19,33	0	ა	დანარჩენი მიმდინარე გადასახადები
2601	2 211 285,37	0	აპ	საგალუტო პოზიციის კონტრაგენტები
2611	0	2 211 285,37	აპ	საგალუტო პოზიცია
2903	8 136,87	0	ა	კომპიუტერული ტექნიკა და საკომუნიკაციო მოწყობილობები
2905	10 690,57	0	ა	აუეკი და მოწყობილობები
2912	1 497,99	0	ა	კაპიტალური დანახარჯები იჯარით აღებული ობიექტების მიხედვით
2961	6 502,51	0	ა	არამატერიალური აქტივები
3611	0	467 684,00	პ	ფიზიკური პირებიდან ნასესხები ფულადი სახსრები
3612	0	471 191,63	პ	იურიდიული პირებიდან ნასესხები ფულადი სახსრები
4414	0	2 349,51	პ	გადასახდელი პროცენტები ბანკების სესხების მიხედვით
4415	0	3 303,89	პ	გადასახდელი პროცენტები კლიენტებისაგან მოზიდული სახსრების მიხედვით
4501	0	6 617,92	პ	კრედიტორები
4513	0	6 065,38	პ	ავანსები
4551	0	113 239,30	პ	გადასახდელი მოგების გადასახადი
4553	1 553,29	887,82	პ	გადასახდელი სამშობიაროს გადასახადი
4559	0	142,13	პ	დანარჩენი გადასახდელი გადასახადები
5006	0	1 765 300,00	პ	მეკრო საფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალი
5501	0	659 249,07	აპ	საანგარიშგებო წლის მოგება (ზარალი)
5902	0	0,1	პ	საგალუტო სახსრების გადაფასების რეზერვი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენს მიერ აუდიტი იმგვარად იყო დაგეგმილი და ჩატარებული, რომ წარმოდგენილ პირველად დოკუმენტებზე დაყრდნობით მიგვეღო დასაბუთებული გარანტია იმისა,შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგებები არსებით უზუსტობებს. ჩატარებული აუდიტის დროს შესწავლილი იქნა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები, მათი შესაბამისობა საქართველოში მოქმედ ბურალტრული აღრიცხვის ნორმებთან და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორე. აუდიტური შემოწმება დაეყრდნო „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნებს. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

ჩვენი აზრით, ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგებები უტყუარად და სამართლიანად ასახავს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და რომელიც შედგენილია არსებითი ხარვეზების გარეშე საქართველოში მოქმედ ნორმატიული აქტების მიხედვით.

შპს აუდიტორული ფირმა
„მრჩეველი“-ს აუდიტორი ნაირა ლობჯანიძე

◎ ალიან-ჩალიანი

„თელასს“ ახალი გენერალური დირექტორი ჰყავს

„თელასის“ გენერალურ დირექტორად საქართველოში „ინტერ რაო ეეს“-ის ჯგუფის გენერაციის ობიექტების ხელმძღვანელი დევი კანდელაკი დაინიშნა. როგორც „თელასიდან“ იტყობინებიან, გადაწყვეტილება კომპანიის სამეთვალყურეო საბჭომ მიიღო.

დევი კანდელაკმა 1991 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი დაამთავრა. 2005 წელს კი მენეჯმენტის ევროპული სკოლის დიპლომი მიიღო.

2000 წელს დევი კანდელაკი კომპანია „AES-მტკვარი“-ს ფინანსურ მენეჯერად დაინიშნა, ხოლო 2000-დან 2003 წლამდე ამავე კომპანიის კომერციული დირექტორის პოსტს იკავებდა.

2003 წელს იგი კომპანია „მტკვარი ენერგეტიკა“-ს გენერალური დირექტორი გახდა, ხოლო 2008 წლიდან დღემდე შპს „მტკვარი ენერგეტიკა“-ს, სს „ხრამი-1“-ის და სს „ხრამი-2“-ის გენერალური დირექტორია. „თელასი“ ელექტროენერგიის განაწილებას თბილისში ახორციელებს. კომპანია ელექტროენერგიით 460 ათასზე მეტ მომხმარებელს ამარაგებს. 2003 წლის აგვისტოში კომპანია „ინტერ რაო ეეს“-ის შემადგენლობაში შევიდა. „ინტერ რაო ეეს“-ის მფლობელობაშია „თელასის“ აქციათა 75%, ხოლო 25%-მდე სახელმწიფოს საკუთრებაა.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სტუმარი

სპორტის აკადემია ახალი სახელწოდებით აღდგება

პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის გადაწყვეტილებით, სპორტის აკადემია აღდგება, სახელწოდებას შეიცვლის და სპორტის უნივერსიტეტის სახელით იფუნქციონირებს. უნივერსიტეტი სხვადასხვა სპორტული კვალიფიკაციის სპეციალისტებს მოამზადებს. ამ საკითხში საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების მიზნით საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ შოტლანდიელი მრჩეველი ჩარლი რებერნი მოიწვია.

ჩარლი რებერნი წლების მანძილზე შოტლანდიაში ფიზიკური კულტურის განვითარებას კურირებს. იგი არის შოტლანდიის სასკოლო სპორტის ფედერაციის საერთაშორისო წარმომადგენელი და შოტლანდიის პარლამენტში ინტერპარტიული სპორტული ჯგუფის წევრი.

ამ დღეებში ჩარლი რებერნი სამინისტროს წარმომადგენლებთან და სპორტის აკადემიის ყოფილ თანამშრომლებთან შეხვედრებსა და სემინარებს მართავს. შოტლანდიელ სტუმარს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილემ თამაზ თევზაძემ და სპორტის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი დოლაბერიძემ უმასპინძლეს.

გუშინ ჩარლი რებერნი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს ლევან ყიფიანს შეხვდა.

საკუთარი ინფორმაცია

◎ ახალი სეზონის სტარტზე

პირველი შეხვედრა - ალბანეთთან

გაირკვა საქართველოს საფეხბურთო ნაკრების პირველი მეტოქე 2013 წლისთვის. საქართველოს და ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციები შეთანხმდნენ, რომ ამ ქვეყნების ნაკრებები ამხანაგურ მატჩში ერთმანეთს 6 თებერვალს შეხვდებიან.

საქართველომ და ალბანეთმა 2012 წლის თებერვალში თბილისში ითამაშეს და მასპინძლებმა 2:1 იმარჯვეს, ამჯერად კი მატჩი ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში გაიმართება.

საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელები გეგმავდნენ, რომ 2013 წელს პირველ ამხანაგურ მატჩს ლუქსემბურგთან ჩაატარებდნენ, რომელთანაც აგვისტოში სტუმრად ითამაშეს და ამ ნაკრებს ახლა ერთგვარად ვალი უნდა დაებრუნებინა თბილისში ჩამოსვლით, მაგრამ ლუქსემბურგელები რატომღაც სომხებს შეუთანხმდნენ 5 თებერვლისთვის და საქართველოს ნაკრებს ახალი სპარინგ-პარტნიორის მოძებნა მოუხდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჟიუდო

ახალი ციკლი - ახალი წესებით

ოლიმპიური თამაშების შემდეგ სპორტის სახეობათა მესვეურები ცდილობენ, ზოგი რამ შეცვალონ შეჯიბრების წესებში. ამ მხრივ გამონაკლისი არც ძიუდოა. კიმონოიანები ახალ სეზონს ახალი წესებით ხვდებიან, ოღონდ ცვლილებები ძალაში 3 თებერვლიდან შევა, ანუ პარიზის დიდი სლემის ტურნირიდან და აგვისტოს ბოლო დეკადაში გასამართავ (26-31 აგვისტოს რიოში) მსოფლიოს ჩემპიონატამდე იმოქმედებს. ასე რომ, თბილისის მსოფლიო თასზე, რომელსაც კონტინენტური თასი დაერქმევა, ძიუდოისტები ისევ ძველი წესებით იჭიდავებენ და მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ იმსჯელებენ ახალი წესების დამკვიდრებაზე, თუ ისინი მოლოდინს გაამართლებს.

მაინც, რას ცვლიან ძიუდოს მამები?

ერთი უკვე მოგახსენეთ — მსოფლიო თასებს კონტინენტური დაერქმევა. სარეიტინგო ქულათა დარიცხვის სისტემა აქ უცვლელი დარჩა — გამარჯვებული 100 ქულას დაიმსახურებს. აი, „დიდი პრიზის“ ჩემპიონს კი უწინდელი 200-ის ნაცვლად 300 ქულა დაერიცხება, მეორე-მესამე ადგილებზე გასულთა მონაგარიც კონტინენტურზე გამარჯვებულის მიერ მოხვეჭილ ქულაზე მაღალი იქნება, შესაბამისად, 180 და 120 ქულა. „დიდ სლემზე“ ეს მაჩვენებლები იქნება — 500, 300, 200 ქულა, მასტერსზე — 700, 420 და 280, კონტინენტების ჩემპიონატებზე — 400, 240 და 160, მსოფლიოს ჩემპიონატებზე — 900, 540, 360, ოლიმპიადაზე — 1000, 600 და 400. ოლიმპიურ რეიტინგში 5 საუკეთესო ტურნირის შედეგი შევა. რამდენიმე მონაწილე თანაბარ ქულას თუ დააგროვებს, მეექვსე დამატებითი შეჯიბრება მასტერსი ან კონტინენტური ტურნირი იქნება.

დამამშვიდებელი ეტაპი, რომელიც ბოლო წლებში მასტერსზე, „დიდ სლემსა“ და „დიდ პრიზზე“ არ მოქმედებდა, ამიერიდან უკლებლივ ყველა შეჯიბრებაზე იმოქმედებს, თუმცა სანუგეშოში მხოლოდ მეოთხედფინალში დამარცხებულები გადავლენ და არა ადრინდელ ეტაპზე წაგებულები.

სერიოზული ცვლილებებია საშეჯიბრო წესებშიც: ამიერიდან გადავლებას, რომელსაც ასე ეფექტურად იყენებდნენ ქართველი ფალავნები, ილეთიც თუ არ მოჰყვა, მოჭიდავეს გააფრთხილებენ. ასევე, გაფრთხილებით დაისჯება ქამარზე ჩავლებისას, თუ მას დაუყოვნებლად არ მოჰყვება გდება, თან ილეთის მცდელობად არც ის ჩაითვლება, ქამარში ჩავლებულმა მეტოქე წრეზე რომ ატარო. ამ მდგომარეობიდან გდება აუცილებლად ძიუდოს სტილში უნდა გაკეთდეს და მკვეთრად უნდა გაემიჯნოს „თავისუფალს“. შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ უკანასკნელთან მსგავსების გამო არ ჩაუთვალეს ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ფანდი ბეთქილ შუკვანს ფრანგ სოფეინ მილოსთან. იაპონელები ცდილობენ, ძიუდოს პირვანდელი სახე დაუბრუნონ. მიზანი ჭიდაობაში სისწრაფის გაზრდა, დინამიურობა და ილეთების, სანახაობის მომატებაა. ტატამზე მხოლოდ ერთი რეფერი იქნება, მეორე კი ვიდეოკონტროლით დაკავდება. მათ ერთმანეთთან კავშირი ყურსასმენით ექნებათ. ახალი წესების ავკარგიანობა სექტემბრამდე გამოიცდება და მხოლოდ ამის შემდეგ მიეცემა არსებობის უფლება.

ლექსო ციცაძე

◎ ჭადრაკი

ინტელექტუალები - პეკინში

ჩინეთის დედაქალაქში 2008 წლიდან იმართება ინტელექტუალური თამაშები, რომლის პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ჭადრაკს უკავია. მსოფლიოს 16-16 უძლიერესი დიდოსტატი ქალ-ვაჟი ერთმანეთს რაპიდში (სწრაფი ჭადრაკი. 20 წუთს+10 წამი ყოველი სვლისთვის), ბლიცსა (3 წუთს+2 წამი) და დაფაზე დაუხედავად (20 წუთს+20 წამი) ეცილებიან ერთმანეთს პირველობას. შარშან მსგავსი ტურნირის რაპიდში ნანა ძაგნიძემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

წლეულს მე-5 თამაშებში მოჭადრაკეები დღეიდან ჩაებმებიან. საქართველოს სპორტულ ღირსებას ბელა ხოტენაშვილი და ბაადურ ჯობავა დაიცავენ. მათ მეტოქეობას გაუწევენ: **ქალები:** ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი), მისი თანამემამულე ჟაო სიუ, ანა მუზიჩუკი (სლოვენია), ინდოელები — ჰამფი კონერუ და ჰარიკა დრონავალი, ორ-ორგზის ევროპის ჩემპიონები — კატერინა ლაგნო (უკრაინა) და პია კრამლინგი (შვედეთი), მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები — ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) და ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი), მსოფლიოს ჩემპიონი ჟუ ჩენი (ყატარი), ევროპის ჩემპიონი ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა), ანა ზატონსკიხი (აშშ), მონიკა სოჩკო (პოლონეთი), ელინა დანიელიანი (სომხეთი), ელიზაბეტ პეტცი (გერმანია).

ვაჟები: ლევონ არონიანი (სომხეთი), თეიმურ რაჯაბოვი, შაჰრიარ მამედიაროვი (ორივე — აზერბაიჯანი), რაპიდში მსოფლიოს ჩემპიონი სერგეი კარიაკინი, ბლიცში მსოფლიოს ჩემპიონი ალექსანდრ გრიშჩუკი, ალექსანდრ მოროზევიჩი (სამივე — რუსეთი), გატა კამსკი, ჰიკარუ ნაკამურა (ორივე — აშშ), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა), მსოფლიოს ჩემპიონი ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი), პეტერ ლეკო (უნგრეთი), ვიქტორ ბოლოგანი (მოლდოვა), ვან ჰაო, დინ ლიჟენი (ორივე — ჩინეთი), ანიშ გირი (ჰოლანდია).

14-15 დეკემბერს რაპიდში, 16-17 დეკემბერს ბლიცსა და 18-19 დეკემბერს დაფაზე დაუხედავად გაიმართება პაექრობები.

ლაშა დიდია

◎ ფეხბურთი

ჯერ სადა ვართ

მთელი საფეხბურთო სამყარო აღნიშნავს ლეო მესის მიერ ლეგენდარული გერდ მიულერის 40 წლის წინანდელი რეკორდის დამხობას, თუმცა არგენტინელი, ეტყობა, გაჩერებას არ აპირებს და სეზონის ფინიშამდე, დიდი შანსია, მისი საგოლე თამასა 90-მდე ავიდეს.

ესპანეთის სამეფო თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური მატჩი „ბარსელონამ“ სტუმრად „კორდობას“ მოუგო — 2:0. ალბათ, ხვდებით, რომ „დუბლი“ სამხრეთამერიკელმა შეასრულა.

დამდეგ უქმეებზე კატალონიური გრანდი პრიმერადივიზიონის მორიგ მატჩს ერთპიროვნული ლიდერის ამპლუაში შინ უახლოეს მდევართან — მადრიდის „ატლეტიკოსთან“ გამართავს, ხოლო საშობაო შესვენებაზე „ვალიადოლიდთან“ გასვლითი შეხვედრის შემდეგ გავა.

დაგვეთანხმებით, სავსებით შესაძლებელია ტაბლოზე ისევ აკიაფდეს მესის გვარი.

როსტომ გიორგაძე

◎ თაობა

გზა დაელოცოს

უკვე გაუწყეთ, რომ გლდანი-ნაძალადევის სპორტულმა კლუბმა „მორკინალი-2011“-მა (გენერალური მდივანი — შალვა ცომაია) მოსწავლეთა საკალათბურთო ლიგა დააფუძნა, სადაც დედაქალაქის სხვა რაიონების ბავშვთა გუნდებიც თამაშობენ.

უკვე გამოვლინდა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ყოჩების ვინაობა. ასე მაგალითად, 1999-2000 წლებში დაბადებულთა (10 გუნდი) შორის ჯერჯერობით უდანაკარგოდ ასპარეზობენ 69-ე საჯარო სკოლის პირველი და მეორე გუნდები, ხოლო 173-ე და მე-16 საჯარო სკოლების წარმომადგენლებმა მხოლოდ თითო შეხვედრა წააგეს.

რაც შეეხება 1997-1998 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა ტურნირს (6 გუნდი), აქ ქულათა მაქსიმუმი 173-ე საჯარო სკოლელებმა მოაგროვეს, 69-ე საჯარო სკოლის კოლექტივმა კი ერთი მატჩი დათმო.

მოსწავლეთა საკალათბურთო ლიგის გამარჯვებულები აპრილში გახდება ცნობილი.

გიორგი ზოთაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ მილოცვა

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი საქართველოს სახალხო არტისტს, დიდებულ კინორეჟისორს და საზოგადო მოღვაწეს **რეზო ჩხეიძეს** ულოცავს დაბადების დღეს, რომელიც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმს“ და ეროვნულ კინოს. მისმა ფილმებმა მსოფლიო აღიარება ჰპოვა. გენიალური ფილმი „ჯარისკაცის მამა“ კი საფუძველი გახდა გურჯაანში „ჯარისკაცის მამის“ აღმართვისა. ჭეშმარიტი მამულიშვილი დღემდე აქტიურად მოღვაწეობს და კვლავ ახალი ფილმით — „მაცხოვრის საფლავზე დანთებული სანთელით“ გაახარა ქართველი მაყურებელი.

ბატონ რეზოს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და შემოქმედებით სიხარულს.

პაგივისცემით
მერაბ ბერძენიშვილი

◎ ქართული სოფელი

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო...“

ადამიანში, რომელიც არ შრომობს, ხდება ენერგიის ლპობა და გახრწნა, რაც შემდეგ იწვევს საერთო გულგრილობას, ნიჰილიზმს, სასოწარკვეთილებას. ეს კი საბოლოო ანგარიშით, ფიზიკურ ან სულიერ დაავადებებში გამოვლინდება.

ილია II

ქართული ფუტკარი, სულ მცირე, სამი ოქროს მედლის მფლობელია. ამ სასარგებლო მწერის საუკეთესო თვისებებმა განაპირობა მისი მსოფლიო მეფუტკრეობის ყურადღების ცენტრში მოქცევა. ამჟამად ქართული მთის რუხი ფუტკარი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ფუსფუსებს ყვავილებზე. მისი თაფლი, რძე და დინდგელი გამოყენებულია წამლად.

ქართული ცხვარი, ქართული ღვინო, აბრეშუმი, ქართული ჩაი, ხილი და ციტრუსი — რომელი ერთი ჩამოვთვალო, რამდენი მადლი ქართული მიწისა, რომელიც, რამდენი ხანია, გაყამირებული გულაღმა გდია და პატრონი არ ჰყავს.

ახლა სოფელში უმამულო კაცი აღარ არის. წესით, მას მდიდარი, „მემამულე“ უნდა ერქვას, რადგან მისი სიმდიდრე ფულით კი არა, ოდითგან პურითა და ღვინით იზომებოდა. მაგრამ დღეს ეს რომ ასე არ არის, ყველამ ვიცით...

თანამედროვე, ცივილიზებულ სამყაროს ვერა და ვერ აუწყო ფეხი ქართველმა გლეხმა. დაძაბუნებულმა სოფელმა არც ქალაქს დააყარა ხეირი... რამდენი წელია, უხარისხო, უცხოეთიდან შემოტანილი სურსათით იკვებება ჩვენი მოსახლეობა. არც ტექნიკა, არც საწვავი, არც სოფლის მეურნეობის განვითარების გენერალური გეგმა — სახელმწიფო აქამდე მხოლოდ ერთჯერად დახმარებას უწევდა გლეხს — შემოდგომით, ან გაზაფხულზე, ხვნა-თესვისას — ოჯახზე 20 ლიტრი დიზელის საწვავი... და მორჩა! ორი წლის წინათ უცხოეთიდან შემოტანილმა სიმინდის, როგორც ითქვა, ფალსიფიცირებულმა თესლმა საერთოდ ვალებში ჩააგდო გლეხკაცი... რომელი ერთი ვთქვათ...

ყველაფერს კი ჩვენს მიწაზე მოყვანილი, ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქცია ჯობს. ერთი მეცნიერის მტკიცებით, ჩვენს ერთ ცალ წითელ, ცხარე წიწაკაში რამდენი ვიტამინიც არის, იმდენი ზოგიერთ უცხოურ ერთკგ-შიც არ მოიპოვება! თანაც, მშობლიურ მიწა-წყალზე მოყვანილი პროდუქტი უფრო მარგებელია, თურმე, ორგანიზმისათვის!

მთელი მსოფლიო უდიდეს უპირატესობას ანიჭებს ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტებს. მსოფლიო ბაზარზე ძვირად ფასობს ნატურალური სოფლის პროდუქცია. თუკი ქართულ ნამეტ მოსავალს გასაღების შესაბამისი ბაზარიც ექნება, თუკი გლეხს სახელმწიფო ჯეროვნად დაეხმარება, აღარავის დაეზარება მიწაზე შრომა, აღარ დაიკარგება უქმად სოფელი ახალგაზრდების ენერგია. შრომა გლეხს აარიდებს სამ საფრთხეს: სიღარიბეს, მოწყენილობას, მანკიერებას... აღარ დაიცლება სოფელი მოსახლეობისგან, აღარც საზღვარგარეთ წავლენ სამუშაოდ ქართველი ქალები, მთას დაუბრუნდება მთიელი.

აუცილებელია სასოფლო კლუბების, ბიბლიოთეკების, სხვა ინფრასტრუქტურის აღდგენა, რათა სიცოცხლის ხალისი, კულტურული ცხოვრება დაიწყოს რაიონული ცენტრებიდან დაშორებულ ჩვენს ულამაზეს სოფლებში.

შრომის სწორი ორგანიზაცია და დაგეგმვა მართლაც ააღორძინებს რეგიონებს, ოღონდ, სახელმწიფოს ნებისა და დახმარების გარეშე ეს არ მოხდება. განვითარება სურს სოფლის მოსახლეობას, მაგრამ ცარიელი ხელებით და იდეით შორს ვერ წავა.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ამ ათიოდე წლის წინათ გვქონდა ჩანართი „დედოზარი“, სადაც სოფლის მეურნეობის პრობლემებზე ვწერდით. მაგრამ მას შემდეგ კიდევ უფრო უკან წავიდა სოფლის საქმე.

„ქართული ოცნება“ და პირადად, პრემიერ-მინისტრი ბატონი ბიძინა ივანიშვილი საქართველოს წინსვლის პრიორიტეტად სოფლის მეურნეობის განვითარებას მიიჩნევს და ამისთვის ყველანაირ ხელშეწყობას ჰპირდება გლეხობას.

სოფლის ტალახს, უგზოობას, მძიმე ჯაფას ქალაქში სავაჭროდ გამოქცეულმა ქართველმა დროა დაიბრუნოს მშობლიური კუთხის, სალოცავი ეკლესიების, თავისი ველ-მინდვრების სიყვარული. დროა, საქართველოს მადლიანმა ჰავამ, ნოყიერმა მიწამ შესაბამისი ნაყოფი მოგვცეს... დროა, გლეხის ფიზიკური შრომა და ინტელიგენტის სულიერება ჰარმონიაში მოვიდეს ამ ქვეყანაში, ბოლოს და ბოლოს!..

ლია ჭიღლაძე

◎ სარედაქციო ფოსტიდან

1. ვიცქიროთ მომავლისკენ

დამდურება თუ უმადურობა?!

იმ უარყოფითი ზნე-ჩვეულებებიდან ადამიანს ან საზოგადოებას ადამიანის ან საზოგადოების მიმართ შეიძლება რომ ჰქონდეს უმადურობა ერთ-ერთი ყველაზე ცუდი თვისებაა.

რატომ ვიწყებ ამ წერილში უმადურობის თემაზე საუბარს?!

აი, რატომ: პრესამ გვამცნო, რომ ილიას სახელობის უნივერსიტეტში არსებული თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრი პირველ საერთაშორისო ფორუმს ჩაატარებს სახელწოდებით: „პოსტსაბჭოთა დრამატურგია — აქცენტები ცენზურის გარეშე დარჩენილ სივრცეში“.

კეთილი და პატიოსანი, სასიხარულო ცნობაა, ეს ხომ თეატრის კრიტიკოსთა და დრამატურგთა პირველი საერთაშორისო შეხვედრა იქნება. ამ სასიამოვნო ცნობამ ცნობიერებაში გავლა ვერც მოასწრო, რომ ცივი წყალი გადაგვესხა — ფორუმთან დაკავშირებით თურმე პიესების კრებული დაიბეჭდა ქართულ და ინგლისურ ენებზე. კი, მაგრამ, რა დააშავა რუსულმა ენამ?! შემთხვევით, უმადურობასთან ხომ არ გვაქვს საქმე?! არ არის აუცილებელი იყო თეატრისა და კინოს სპეციალისტი, უბრალო თეატრის მოყვარულთათვისაც ჭეშმარიტებაა რუსული და ქართული თეატრის ტრადიციული მჭიდრო შემოქმედებითი კავშირის არსებობა შორეული წარსულიდან დღემდე (მარტო რობერტ სტურუას მოღვაწეობა რამდენს ადასტურებს ამ მხრივ), ან კიდევ, რუსი და ქართველი კინოსა და თეატრის მოღვაწეთა გულწრფელი მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის უთვალავი მაგალითი, რაც შემდეგში მათი შემოქმედებითი წარმატებების მასაზრდოებელი გამხდარა. უფრო მეტიც, შეიძლება თქმა, რომ ქართული თეატრი (რეჟისურა, საშემსრულებლო ხელოვნება, შემსრულებელთა პროფესიონალიზმი, დრამატურგია და ა.შ.) დიდ ვალშია რუსული თეატრის წინაშე. ევროპის მოწინავე ქვეყნებიდან ქართულ თეატრში გადმოტანილ მაღალნაყოფიერ ნიმუშთა დამყნა და გახარება, ძირითადად, რუსული სელექციური ჩარევის ხარჯზე ხორციელდებოდა.

ჩვენი ცნობილი მოღვაწეები (ამ მხრივ სულმნათი ილიასა და დიდი კონსტანტინეს გამონათქვამებიც კმარა) ულმობლად ებრძოდნენ ყოველივე იმას, რაც არ იყო მოსაწონი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში, მაგრამ რუსეთის კულტურის, მწერლობის, თეატრის, იდეოლოგიისა და, ბოლოს, ენის დიდ დადებით გავლენას საქართველოს შესაბამის ღირებულებებზე უპირობოდ აღიარებდნენ და პატივს სცემდნენ.

კვლავ პრესა გვატყობინებს, რომ ქართული ესტრადის დედოფალი ნანი ბრეგვაძე სანკტ-პეტერბურგში დანიშნული ქართული ხელოვნების ფესტივალს გახსნის. ნანი ხომ რუსული რომანსების ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელია. რა, სიმღერის ტექსტები გადაუთარგმნიათ ინგლისურად?!

ჩემი აზრით, როგორიც არ უნდა იყოს რუსეთ-საქართველოს ამჟამინდელი პოლიტიკური ურთიერთობა, არავითარი უფლება არ გვაქვს პატივისცემა მოვაკლოთ რუსი ხალხის ენას...

რუსული ენის პატივისცემა სრულებითაც არ ნიშნავს ინგლისურის, ფრანგულის, გერმანულის თუ ესპანურ-იტალიურის, გნებავთ, თურქულისა და სხვა ენების უპატივცემლობას, მაგრამ რუსულ ენას ქართული კულტურისთვის (მათ შორის ენისთვისაც) განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

თუ ჩვენ ამ საკითხებში ბოლო დროს დაშვებული უხეში შეცდომები არ გამოვასწორეთ, ვშიშობ, ეს ყველაფერი უმადურობაში არ ჩაგვეთვალოს, რაც შეეხება დამდურებას, მას თუ სხვა არაფერი უშველის, დრო მაინც მოუვლის.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

2. კერძო პროტესტი

იქნებ საზეიმო შეხვედრას მოგვეწყო?!.

ძმებო, ქართველებო და საქართველოში მცხოვრებო არაქართველო მეგობრებო! სოროსი რომ ჩამოვიდა (ვიცოდეთ მაინც, ვინ დაპატიჟა) და თბილისში დასეირნობს, ეს თქვენ არ გეხებათ? ერთი კაცი მაინც მონახეთ, რომელმაც ამის შესახებ პროტესტი გაანაცხადა. მისი „ბრწყინვალების“ ვიზიტი კი მთელი თბილისის მოსახლეობას სასტიკი პროტესტით უნდა აღენიშნა და კატეგორიულად მოეთხოვა დაუყოვნებლივ დაეტოვებინა მას ჩვენი ქალაქი. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენ სამართლიანი და სწორი აზროვნებიდან, რბილად რომ ვთქვათ, ამოვარდნილი ვართ.

იმის მეასედი დანაშაული რომ ჰქონოდა ამ ტიპს ნებისმიერი ქვეყნის წინაშე, რაც საქართველოს მიმართ აქვს, ამ ქვეყნიდან ცოცხალს არ გაუშვებდნენ, ჩვენ კი ცივილიზებული წესით გათვალისწინებული საპროტესტო ღონისძიებებიც ვერ (ან არ) გამოვიყენეთ.

უბედურება ის არის, რომ მასმედიაც სრული სიჩუმით შეხვდა ამ მოვლენას (მგონი, სიამოვნებამაც კი გაიჟღერა).

ასე გვინდა, რომ განვამტკიცოთ 1 ოქტომბრის მონაპოვარი?

რევაზ ტყემალაძე,
საქართველოს დამსახურებული მშენებელი, ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

◎ ალიან-ჩალიანი

რისთვის არის საჭირო ასპირინის მიღება?

ხშირად ტელევიზორით გვირჩევენ: 40 წლის შემდეგ მუდმივად მივიღოთ ასპირინი. ეს როგორ?

ს.არხიპოვი, პერმი

გვიპასუხებს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა და რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი ლეო ბოკერია:

— უკანასკნელ ხანებში გაჩნდა ბევრი პუბლიკაცია, რომლებიც ადასტურებენ ასპირინის მიღების დადებით ეფექტს: დადასტურებულია, რომ ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც მსხვილი ნაწლავის კიბოს პროფილაქტიკა, მისი მიღების ფონზე ისე სწრაფად აღარ იზრდება წინამდებარე ჯირკვლის ადენომა. მაგრამ გაუთავებლად ასპირინის მიღება მაინც არ ღირს. მას კარგი მაჩვენებელი აქვს ათეროსკლეროზის ნიშნების დროს. თავდაპირველად უნდა შევიმოწმოთ სისხლის შედედების სისტემა. როგორც წესი, 50 წლის შემდეგ აღინიშნება სისხლის შემჭიდროება და მაშინ ასპირინი მართლაც აუცილებელია. მაგრამ თუ სისხლის შედედება ნორმალურია, ასპირინის მიღებას პროფილაქტიკისთვის რეკომენდაციას ვერ მივცემდი.

რა არის სასარგებლო მთვარეზე?

ჩინელები აპირებენ შექმნან მთვარეზე ბაზა და მოიყვანონ ბოსტნეული, რათა გამოკვებონ კოსმონავტები. შესაძლებელია ეს განა?

ე.ტუშკევიჩი, ტულა

„80-იანი წლების ბოლოს დიდი ინტერესი გამოიჩინეს მთვარის ბაზებისადმი, და ჰიუსტონში მოაწყვეს ექსპერიმენტიც: შეეცადნენ მთვარის გრუნტზე მოეყვანათ ზამთრის მცენარეები. და მათ ეს გამოუვიდათ! — ამბობს მთვარისა და პლანეტების კვლევის განყოფილების გამგე ვლადისლავ შევჩენკო. — მთვარის გრუნტი ქიმიური შენაერთით ახლოსაა დედამიწისასთან. გამართლებულია კი მთვარის ათვისება ეკონომიკურად? ჯერ ერთი, იქ არის ჰელიუმის დიდი ოდენობა — 3 — იზოტოპი, რომელიც თეორიულად კარგია თერმობირთვული სინთეზის რეაქციისთვის. არსებობს მთვარიდან მისი ჩამოტანის იდეა. რუსეთში ამ იდეას სკეპტიკურად უყურებენ, აი, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი კვლევები მიდის მთელი სვლით. მეორეც, მთვარეზე ბევრი დედამიწისთვის იშვიათი ლითონია, ისინი იქ კომეტებმა მიიტანეს. ეს ნედლეული აუცილებელია თანამედროვე გამოთვლით სისტემებში. განვითარებულმა ქვეყნებმა თავიანთი რესურსები გამოიმუშავეს. დედამიწისთვის იშვიათი ლითონები დარჩა მხოლოდ ჩინეთში, რომელიც ახლა ფასებს გვიკარნახებს. ასე რომ, მთვარე წარმოადგენს საინტერესო ობიექტს ამ თვალსაზრისითაც“.

სს „საქწყალპროექტის“ გენერალური დირექტორატის

განცხადება

2013 წლის 25 იანვრის დღის 15 საათზე ჩატარდება სს „საქწყალპროექტის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება. მისამართი — ინსტიტუტის შენობა.

დღის წესრიგი:

1) სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების გადარჩევა უფლებამოსილების ვადის გასვლასთან დაკავშირებით და ახალი წევრების არჩევა.

2) სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილების, ფუნქციონალური დატვირთვისა და ანაზღაურების განსაზღვრა.

მომხსენებელი დირექტორი **ნინო ფალავანდიშვილი.**

დირექტორატი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ხმა ნიუ-იორკიდან

ახლახან გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ნიუ-იორკში ოჯახით მცხოვრებმა პროფესორმა დავით კურტანიძემ, გამოუგზავნა საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე თავისი აღფრთოვანება, რომელსაც დღეს გთავაზობთ.

ახალგაზრდობას

„კიდევაც დაიზრდებიან...“ – იყო ქართველთა ოცნება,
„ქართველო, ხელი ხმალს იკარ!“ – ასეთიც ვიცით დროება!...
უსამართლობას ეკვეთნენ აზრით და დარაზმულობით,
ამაყად დააბიჯებდნენ კულტურით, განსწავლულობით!..
მიზანი მიღწეულია – ერს ვეღარ მართავს სატანა.
ახლა დრო დადგა, რომ აღსდგეს ქართველთ ურთიერთგატანა!..

სამშობლოდან გადახვეწილი ვწუხვარ და ვკვნესი...
არ გაახაროთ მოღალატე და უცხო თესლი!..

ოქონას დამრჩა ბაბუს აბედი, ტალი და კვესი,
კვადურაზე მამაჩემის ხელოვნურად ნაგები ჰესი...
დედის ნატერფალს ვერ ვპოულობ, სიზმარში ვეძებ,
ძველ ნასახლარზე ვხეტიალობ, ვიპოვო იქნებ?!.

გამეღვიძება, ამაოა ჩემი ფიქრები,
ისიც არ ვიცი, სადამდე ან როდის ვიქნები...

მუდამ ვიძახი – ამ ხნის კაცს რა მინდა მე უცხო მიწაზე?!
მოღალატენი ჯვარს აცვით, მიაჭედეთ ლურსმნით ფიცარზე!..

დავით ოძონელი (კურტანიძე)
ნიუ-იორკი 27.11.2012.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაკშინაჯი ვახელებთან

„ჩინოვნიკებს აგარაკებს ჩამოვართმევთ!“

– აცხადებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივნიშვილი, – მათ ყოველგვარი პრივილეგია ჩამოერთმევათ და ამოღებული თანხები გაჭირვებული ხალხისკენ წავა. არანაირი წყნეთი, არანაირი „დაჩები“, ყველაფერი გავაჩერეთ, ეს თანხები თქვენკენ წამოვა, – უთხრა პრმიერმა სოციალურად დაუცველებს.

„ახალი თაობა“

გაზი 5 თეთრით გაიაფდება, დენი – დაახლოებით 3 თეთრით

გაზის ტარიფი 10 პროცენტით შემცირდება, ანუ მოსახლეობა, რომელიც ბუნებრივ აირს 50 თეთრად ყიდულობს, მხოლოდ 5-თეთრიან შეღავათს მიიღებს. რაც შეეხება ელექტროენერგიის ტარიფს, ენერგეტიკის სამინისტროში ტარიფის მაქსიმუმ 3 თეთრამდე შემცირებას ვარაუდობენ. ენერგეტიკოსთა გათვლებით, თუ იქნებოდა ხელისუფლების კეთილი ნება, გაზის ტარიფის მინიმუმ 10 თეთრით გაიაფება იყო შესაძლებელი.

„რეზონანსი“

განათლების სისტემა ისევ „ნაციონალების“ ხელშია!

განათლების სისტემაში ფეხმოკიდებული „ნაციონალები“ პოზიციებს არ თმობენ. მეტიც, ისევ გრძელდება შანტაჟი და მუქარა სკოლების ამჟამინდელი დირექტორების მხრიდან პედაგოგების წინააღმდეგ, სამეურვეო საბჭოებში ჯერ კიდევ არიან ჩანერგილი „ნაციონალები“. ამის შესახებ ჰყვება 142-ე საჯარო სკოლის დირექტორი ვალერიან გიორგაძე.

რა მოხდება 21 დეკემბერს?

ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვამშვიდებს, რომ ეს მასონების მიერ კარგად დაგეგმილი პროვოკაციაა, გააკეთებენ უზარმაზარ თანხას, 3-4 თვის საქონელი გაეყიდებათ ერთ კვირაში... კი, იქნება კატაკლიზმები, მსხვერპლიც მოიმატებს და ბუნებრივი ანომალიური მოვლენები... და, მეტი არაფერი!

„ალია“

◎ დაიჯესტი

„მოსიყვარულე“ ნიკოლა

ფაქტობრივად, კვირა არ გადის ისე, რომ საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტს ნიკოლა სარკოზის მორიგი ბრალდება არ წაუყენონ, რომლებითაც იგი უკვე საკმაოზე მეტადაა დახუნძლული.

ახლახან ანტიკორუფციულმა ორგანიზაცია „ანტიკორმა“ მას ბრალდება წაუყენა, რომლის თანახმად იგი საზოგადოებრივ აზრის გამოსაკითხავად გადასახადის გადამხდელთა თანხებს იყენებდა. თანაც, ლაპარაკია ისეთ გამოკითხვებზე, რომლებსაც სახელმწიფო ინტერესებთან არანაირი შეხება არ ჰქონდათ. კერძოდ, „დონჟუან“ პრეზიდენტს აინტერესებდა, თუ როგორ აღიქვამენ, მაგალითად, ფრანგები მის კარლა ბრუნისთან არშიყს, მათ შეუღლებას და, წარმოიდგინეთ, მინისტრ რაშიდა დატის ფეხმძიმეობასაც კი.

ჰოდა, აღმოჩნდა, რომ ეს „სისულელეები“ ელისეს სასახლეს 9,4 მილიონი ევრო დაუჯდა!

ამასთან, „ანტიკორის“ წარმომადგენლები სარკოზის ასევე ბრალს დებენ ფავორიტიზმში. მაგალითად, 3 მილიონ ევროზე უფრო ძვირიანი შეკვეთა, ყოველგვარი ტენდერის ჩატარების გარეშე, პრეზიდენტის ერთ-ერთი უახლოესი თანაშემწის კუთვნილ ფირმას გადასცეს.

თავად სარკოზიმ კი, როგორც ჩანს, დაივიწყა თავისი განცხადება საპრეზიდენტო არჩევნების წაგების შემთხვევაში დიდი პოლიტიკიდან წასვლის თაობაზე და ხუთი წლის შემდეგ კვლავ აპირებს ქვეყნის პრეზიდენტის სავარძლისთვის ბრძოლაში ჩაბმას.

რამდენი თვალი გვჭირდება?

რატომაა, რომ ადამიანს ორი თვალი აქვს და არა, ვთქვათ, სამი ან ერთი?

ისე, ყველამ კარგად ვიცით, რომ ორი თვალი მარტო ადამიანს კი არა, არამედ ყველა ცხოველს, ფრინველსა თუ თევზს აქვს. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ სწორედაც ორი თვალი უნდა წარმოშობოდა ბილატერალური სიმეტრიის პრინციპით ორგანიზებულ არსებას – როცა ობიექტს ორი სარკისებრი ნახევარი აქვს. წყვილი თვალით სივრცეში გაცილებით ადვილია ორიენტირება, ვიდრე ერთით. მესამე თვალი ამ შემთხვევაში უბრალოდ ზედმეტია.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ხერხემლიანთა წინაპრებს (ადამიანის გაჩენამდე დიდი ხნით ადრე) მართლაც ჰქონდა შუბლზე... მესამე თვალი, რომელიც ზევით იყურებოდა. ეს არსებები ძველი ზღვების ფსკერზე ცხოვრობდნენ და ინფორმაცია შესაძლო მუქარის შესახებ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო – მესამე თვალი მისი უმალ შემჩნევის საშუალებას იძლეოდა. ევოლუციის პროცესში კი „ზედა“ მხედველობამ სასიცოცხლო მნიშვნელობა დაკარგა და მესამე თვალიც გაქრა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი ისაა, რომ ისევე, როგორც სხვა პრიმატებს ადამიანის თვალები არა სხვადასხვა მხარეს, არამედ წინ იყურება. ამის წყალობით ჩვენ ვხედავთ, თუ რა ხდება ჩვენს მარჯვნივ და მარცხნივ არა ცალ-ცალკე, არამედ ერთიანად, პანორამულად, ანუ ჩვენ გვაქვს მოცულობითი, სტერეოსკოპიური მხედველობა. ეს კი ჩვენს შორეულ წინაპრებს დიდად უწყობდა ხელს ტროპიკული ტყეების ზედა იარუსებში კარგად ორიენტირებაში, სადაც ისინი რამდენიმე მილიონი წლის მანძილზე ცხოვრობდნენ, ვიდრე ხეებიდან მიწაზე ჩამოვიდოდნენ.

რა სჯობს დილაობით – სირბილი თუ სიგარეტის მოწევა?

ლონდონის უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგიისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის განყოფილების მკვლევარებმა დაადგინეს, თუ რამდენი დრო სჭირდება საშუალო ადამიანს საკუთარ თავში თუნდაც ერთი სასარგებლო ჩვევების გამოსამუშავებლად.

თორმეტი კვირის მანძილზე მათ, რასაც ჰქვია, „ჯვარს აცვეს“ ასი მოხალისე, რომლებსაც დილაობით სირბილის ჩვევის ავტომატიზმამდე მიყვანას აიძულებდნენ. საბოლოო ანგარიშით, ექვსი კაცი ექსპერიმენტს საერთოდ გამოეთიშა, რადგან დილაობით თუნდაც 10 წუთი სირბილი თავს ვერაფრით აიძულა. დანარჩენებს კი საშუალოდ მთელი 66 დღე დასჭირდა საიმისოდ, რომ დილაობით სირბილი შინაგანი მოთხოვნით და არა იძულებით დაეწყო.

– გამოდის, რომ მარგებელი ჩვევის გამოსამუშავებლად საკმაოდ დიდი დროა საჭირო, ვიდრე, ვთქვათ, თამბაქოს წევის, ანდა ალკოჰოლიანი სასმელის მოხმარების მიჩვევას სჭირდება, – ამბობს ერთ-ერთი მკვლევარი ფილიპ ლელი.

◎ ანეკდოტები

– ახლახან ვნახე, რომ ვიღაც ტიპი შენს ცოლს კოცნას უპირებდა.
– მერე აკოცა?
– არა.
– ესე იგი, ის ქალი ჩემი ცოლი ყოფილა.

* * *

სასარგებლო რჩევა ქმრებს.
არასდროს არ იტრაბახოთ, რომ თქვენი ცოლი ყველას სჯობს: ქალები შეიძლება გაბრაზდნენ, მამაკაცები კი თქვენი ნათქვამის სისწორის შემწეობას მოისურვებენ.

* * *

პეტკა სიდედრთან ერთად ბაღში ბარავს. სიდედრს თავზე მუზარადი ახურავს. ამით გაკვირვებული მეზობელი პეტკას ეკითხება, რად უნდა შენს სიდედრს ჩაჩქანიო.

– აბა რამდენჯერაც სველი მიწა ბარს მიეკვრება, იმდენჯერ ღობისკენ ხომ არ ვირბენ, რათა ფიცარს შემოვკრა ნიჩაბი?

* * *

ტელეფონში მამაკაცის სასიამოვნო ხმა ისმის:
– ალო, დაშა შეიძლება?
– დაშა შინ არ არის, თქვენ კი მისი ცისფერთვალება და გრძელფეხებიანი და გესაუბრებათ.

* * *

– **ძალიშვილო**, ამ საღამოს რას აკეთებთ?
– ყველაფერს.

* * *

გაბრაზებული ტიპი სახლში შერბის და ყვირის:
– ეს თავხედი ლიფტიორი ტრაბახობს, რომ ამ სახლში ყველა ქალთან იწვა ერთის გარდა.
– რა თქმა უნდა, ვინ შეხედავს იმ მეხუთესართულელ სულელ მაშას?
– ამბობს ცოლი.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერროსკიანის) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com